სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 15 აგვისტო 2003 №152 (1923) | ფასი 50 თეთრი

UEFA CUP

უსუსურთა კლუბი: თუ წაგებაა, 0:3 იყოს

ქართველი ევროპას მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა

„პუბოვი“ — „სიონი“ 3:0. ალექსანდრე კოშაძე (№ 16) და ბოლნისელები მეორე ტაიმში გატყდნენ

ფოტო: ბაბილინა



ლავაა და აღარც ბრაზილიელი ტესერი

ფოტო: ...

...ვის იყოს. ერთი ცხადია, „დინამოში“ კიდევაა სიახლეები მოსალოდნელი. რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს და რა როგორ იქნება, ეს დღეები გვიჩვენებს.

კოტა ინასარიძე

...ისური ამბავი ...რაქიშვილზე

...მეთორმეტე ერო-
...ე და საუკეთესო
...კარიერას „თბი-
...რთქიფანიძის გა-
...ლად ივარჯიშებს,
...ლი არაა.
...თაისის „ტორპე-
...გამო ბევრი მატჩი
...ხლი ზაზამ უკვე
...ისვლამდე კი და-



ფოტო: ...



„ელჭინარი“ — „ანორთოსისი“ 1:0. საქართველოს ნაკრების მეკარეთა თანამეგზეე თემურ ქუცბაიამ ჩვეულად ჟინიანად იბურთავა

...ერთი, კოკა-ლიგა...

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის

ფოტო: ...

მოულოდნელს არაფერს მოველოდ...
ლოდნელის მოლოდინი იმათი ხვედრ...
ნაპერწკალი შერჩენია. „ლანსი“ რომ...
„ტორპედოს“, სულ ცოტა, სამ ბურთ...
ლებით არ მოუგებდა, ამას ბავშვიც ...
დათ ბალის კიდეზე. ეს იმიტომ კი ...
წლიდან წლამდე, რომ სხვებმა ფე...
თამაში იციან, ქართველებმა კი არ...
იმიტომ, რომ ქართველებს ყოფნი...
ფეხბურთი, წლიდან წლამდე უა ზრ...
ევროპის ქალაქებში, სადაც ქართ...
ახალ დროში ჯერ კვალი კი არა, ნა...
რი გოლიც იშვიათად თუ დაუტოვე...

ავთანდილ ...

ჩვენ ვიცნობთ ბოლნისის „სიონს“, როგორც პატარა ქალაქის უტეხ გუნდს, რომელსაც საქართველოში თავისი ხელწერა აქვს, მაგრამ საფეხბურთო ევროპა ისევე შორს არის ბოლნისიდან, როგორც ქუთაისიდან. ბოლნისელთათვის ეს იყო პირველი ევროპული თამაში და მიუხედავად 0:3-ისა, მათ რჩებათ იმედი საქართველოს ყველაზე რთული სტადიონისა, სადაც ბევრად მეტი შეუძლიათ, ვიდრე სტუმრად.

და მაინც, არაფერი იცვლება. უფრო სწორად, ყველაფერი ქართული ფეხბურთის საერთაშორისო უსუსურობის გარდა.

REUTERS სარეპორტიდან

ჟელეზნიჩარი — ანართოსისი. კუნძულელებს ბოსნიაში თემურ ქეცბაიას შემართებამ ვერ უშველა

0:6 სიონმა და ტორპედომ მეოთხედან სამ-სამი წამოიღეს

პუხოვი. 14 აგვისტო. 20 საათი. მატადორ პუხოვი. 3 825 მაყურებელი

SK MATADOR პუხოვი 3:0 სიონი

1:0 ბრეშკა (49), 2:0 პერნიში (80), 3:0 ბრეშკა (89)
ბრეშკამ ვერ გაიტანა პენალტი (90, ააცილა)

პუხოვი: ბერნადი, პრიჩკო, ოგადი, ჩვირიკი, პოლჩიკი, ტალდა (პერნიში 46), ბელიაკი, პ. მაკერნიკი (პ. ვაკერიკი 25), იანშორი, ბრეშკა, მ. ნემეცი (გეგიჩი 63)
მწვრთნელი: შტეფან ზატკო
სიონი: ვოლკოვი, ხუჯაძე, ბაქრაძე (კვეკვესკირი 75), ჭიჭვეიშვილი, გაბიდაური, გილაური, წიგნივაძე, გაბისკირია (დარსანია 53), გუჩუა, კოშკაძე, გონჩაროვი (ხხიანი 65)
მწვრთნელი: თემურ მახარაძე
გაფრთხილება: პოლჩიკი (23), გაბიდაური (24), ჩვირიკი (39)
მსაჯი: ანტონ გენოვი (ბულგარეთი)

თემურ მახარაძის შიში უსაფუძვლო არ ყოფილა. პუხოვში გამგზავრებამდე „სიონის“ მწვრთნელი მეტოქის სამეორეტაიმო შესაძლებლობებს უფრთხოდა — ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულნი სლოვაკები და თითქმის მეორე ტაიმში აკეთებენ თამაშსო. ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი — პატარა „პუხოვმა“ უფრო პატარა „სიონს“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა და საპასუხო მატჩის წინ უმცირესი შანსი დაუტოვა.

არადა, პირველ ტაიმში ყველაფერი მახარაძისეული სცენარით ვითარდებოდა. 4-5-1 სქემით გაწყობილი ქართული გუნდი მედგრად იდგა და უგოლოდ გაისტუმრა შესვენებაზე მასპინძელი.

მეორე ტაიმი ორიოდ წუთის დაწყებული იყო, დასანანი გოლი რომ გაუშვა „სიონმა“, მერე კი ქართულმა ნაკლმა — ფიზიკურმა სისუსტემ იჩინა თავი და გაილაღეს სლოვაკებმა. „სიონს“ საპატიო ანგარიშით დაბრუნება შეეძლო პუხოვიდან, მაგრამ საამისოდ სულ რაღაც ათი წუთი დააკლდა. ათ წუთში კი ბევრი რამ ხდება ფეხბურთში. მე-80 წუთზე ფიზიკურად გატეხილ ქართველებს პერნიშმა თავით გაუტანა, ამ მომენტიდან 9 წუთის შემდეგ მასვე დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ კარს აცილა ბურთი. საპასუხო მატჩის წინ 0:2-საც შეეხედებოდა, მაგრამ ბრეშკამ არ მოისვენა და შორეული დარტყმით მესამედ გამოატანინა ვოლკოვს კარიდან ბურთი.

გუშინდელი მატჩის დასრულების შემდეგ პუხოვში მყოფ „სიონს“ ვიცე-პრეზიდენტს ირაკლი კორტავას შეევეხმიანეთ. პუხოვიდან ბრატისლავაში მიმავალმა კორტავამ ეს გვითხრა:

„თანაბარი პირველი ტაიმი იყო. მეტიც, ბევრ კომპონენტში ვჯობდით მეტოქეს. მახარაძემ დაცვითი სტილი აირჩია, წინ მხოლოდ გონჩაროვი იბრძოდა და მწვავედაც. „სიონს“ კონტრშეტევების შედეგად რამდენჯერმე გატანაც შეეძლო. შესვენებაზე იმედმოცემული ვიყავით, მაგრამ მეორე ტაიმში მეტოქემ იმძლავრა. „პუხოვი“ ფიზიკურად უკეთ მომზადებული აღმოჩნდა, დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმც 3:0 რეალურად არ ასახავს მატჩის მსვლელობას. ამ ანგარიშით წასაგები თამაში არ იყო. ლომივით იბრძოდა ბაქრაძე, მაგრამ ერთ-ერთ სათამაშო ეპიზოდში დაშავდა, მწვრთნელებს ანიშნა არ შემცვალოთ, ვითამაშებო, მაგრამ ბურთი რომ მიიღო, მოცელილივით დაეცა და წელმტკივანი მცველი კვეკვესკირით შეცვალეს. ამ ცვლილებამ არ გაამართლა და მალე მეორე გოლიც გაიტანეს მასპინძლებმა. სლოვაკთაგან გამორჩეულად ითამაშა ბრეშკამ. ახოვანი, ალღოიანი თავდამსხმელია, მისი თანაგუნდელებიც ჯანიანები იყვნენ და „სიონის“ მშრალი ანგარიშით მარცხი უფრო მეტოქის ფიზიკურმა სიძლიერემ განაპირობა. მიუხედავად ამისა, უიმედოდ არ ვართ, ამ გუნდთან ბრძოლა შეიძლება. ბოლნისში სხვა მატჩი იქნება და თუ ფორტუნამაც გადმოგვხედა, ეგებ შემდეგ ეტაპზეც გავიდეთ“ — ეს გვითხრა ბოლნისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა, მსგავსი განწყობა სლოვაკეთში მყოფ კლუბის სხვა წარმომადგენლებსაც ჰქონდათ, აღდგომა და ზვალეო, ყველაფერი მარიამობას გამოჩნდება.

პაატა ძვანტალიანი

REUTERS მალაგიდან

უეფას თასი

კაცი აივან

ალარ გათავდა სასამართლოში სიარული. მადრიდ „ატლეტიკ“-ს ყოფილი პატრონი და საკურორტო მარბელას მერი ხესუს ხილი, რომელსაც სამწელიწადნახევარი ციხეში ჯდომა აქვს მისჯილ გადასახდელად 16 მილიონი ევრო, კვლავ სასამარ კორუფციაში მხილებულ ხილს ტელეშოუში თაღლ უმხელია მარბელას ამჟამინდელი მერი,

ლანსელებმა „ტორპედოს“ ბოლოსკენ დასცინეს

ლანსი 3:0 ტორპედო

ლანსი. 14 აგვისტო. 23 საათი. ნან-ფეიეის პოლერი. 26 443 მაყურებელი

1:0, 2:0 უტაკა (70, 83), 3:0 დიოპი (85)
ლანსი: იტანეკ, ფანი, სონგი, ბაკი, რული, ეაბი (ტომერი 46), პ. ბ. დიოპი, დიანე (ბაკარი 66), კეიტა, უტაკა, მორეირა
მწვრთნელი: ეოელ მიულერი
ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, სვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, ბაბუნაშვილი, გამეზარდაშვილი, ახალკაცი, ვიფიანი, პოროშინი (ნერგაძე 41), მუშკუდიანი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე
გაფრთხილება: გამეზარდაშვილი (13), დიოპი (72)
მსაჯი: დიტმარ დრაბეკი (ავსტრია)

„ლანსი“ — „ტორპედოს“ მაყურებელი უშუალოდ მოედნიდანაც ჰყავდა, ეს კაცი მასპინძელთა მეკარე შარლ იტანეკ გახლდათ. ცხადია, რომ მას უსუსურ მეტოქესთან საქმე არ გასჩენია, საკვირველი უფრო ის იყო, 70 წუთი გოლი რომ არ გადიოდა ქუთაისელთა კარშიო, ამბობენ ამ მატჩის ევროპელი მიმომხილველები. ამათ იმის თქმაც არ დავიწყნიათ, რომ „ლანსი“ ჩვეული სათამაშო ფორმისგან შორს იყო და საპირველტაიმოდ მხოლოდ უტაკას და მორეირას საგოლე მომენტები იკმარა, თუმც ანგარიშის გახსნას არა და არ დაადგა საშველი, დაცვაში ჩამჯდარი ქართველები სენსაციური შედეგისკენ მიაქანებდნენ ფრანგებს, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და გასაოცარიც იქნებოდა, რომ არ მომხდარიყო. მეტოქის გამუდმებული შტურმით სიქაგაცლილი რიონისპირელები 70-ე წუთზე დანებდნენ, საგოლე პასისას ნახევარმცველმა კეიტამ შთამბეჭდავად იარა მეტოქე ფეხბურთელებში და უტაკა გასატანად ბავშვისთვისაც იოლ სიტუაციაში დატოვა. აქედან 13 წუთში უტაკამ თავად გაჭრა სტუმართა დაცვა და მოხდენილ დრიბლინგს ლამაზი გოლი მიაყოლა. საფინალო სასტვენის მოსურნე ქართველებს 85 წუთზე პაპე ბუბა დიოპმა აფრიკული მოქნეულით 0:3 გაატანა გასახდელში.

პაატა ძვანტალიანი

მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი (ფინეთი)

C ჯგუფი. I ტური
იემენი 3:4 პორტუგალია
კამერუნი 1:1 ბრაზილია

D ჯგუფი. I ტური
სამხრეთ კორეა 1:6 აშშ
ესპანეთი 3:3 სიერა ლეონე

შვედეთი

ჩემპიონატი XIX ტური
ატვიდაბერგი 2:0 ფორვარდი
ასირისკა 1:2 ვესტეროსი
კაფე ოპერა 1:0 ბრომაპოიკარნა

ინლანდია

პრემიერლიგა. ბოლო ბადალბელი მატჩი
ვალიური 1:1 რეიკიავიკი

ოთხშაბათს „რეინჯერსმა“ გადაჭედილი „აიბროქსი“ დაახვედრა დანიურ „კოპენჰაგენს“. მოედანზე გასულ მასპინძელთაგან გამორჩევით ერთი ღელავდა. ზურაბ ხიზანიშვილი მეორე ოფიციალურ მატჩში გადიოდა ახალი გუნდის მაისურით, თანაც დებიუტი ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაში. სასტარტო სასტვენის შემდეგ ხიზანიშვილის მღელვარება სადღაც გაქრა და მოედანს ჟინით მებრძოლი ქართველი შერჩა. „კოპენჰაგენთან“ 1:1-ის შემდეგ ბრიტანულმა პრესამ მთლიანობაში გააკრიტიკა შოტლანდიელები. კუნძულელმა მედიელებმა მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს მოუნონეს გარჯა და ამათ შორის ქართველიც იყო. ხიზანიშვილს გუშინ გლაზგოში დავუკავშირდით

ჩაფრებმა დანიელებს ვერ ჩაუფარეს

ხიზანიშვილს გული ლიგას ეუბნება

— ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ დებიუტთან ახლოს იყავი, მოგება შეგეძლოთ...

— უნდა მოგვეგო, თანაც როგორ... ზუსტად ვერც კი ვიხსენებ, რამდენი საგოლე შანსი გავფლანგეთ. ლოვენკრანდსის გოლის შემდეგ დიდი უპირატესობა გვქონდა, მეტოქე კონტრშეტევებზე ჩაგვიჯდა. ფორტუნამაც არ უგანა დანიელებს და გაგვიძლეს ტაიმის ბოლომდე. მეორე ნახევარში კი მოდუნებულები გავედით მოედანზე და დავისაჯეთ. უაზრო გოლი გავუშვით, ამ შემთხვევაშიც გაუმართლათ სტუმრებს.

— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— მთლიანობაში დავრჩი უკმაყოფილო, რადგან ვერ მოვიგეთ, თორემ პირადად მე, მგონი, ცუდად არ მითამაშია. ყოველ შემთხვევაში, უხეში შეცდომა არ მომსვლია და შეტევაშიც არაერთხელ ჩავერთე. პირველ ტაიმში კუთხურის ჩაწოდების შემდეგ შემეძლო გატანა, მაგრამ მეკარემ ამიღო. მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მეორე ტაიმშიც მქონდა ბარი ფერგიუსონის ჯარიმის შემდეგ.

— როგორი გუნდია „კოპენჰაგენი“?

— ჟინიანი, მებრძოლი. სათამაშო დისციპლინაც არ აკლიათ დანიელებს, ასეთებთან ყოველთვის ჭირს თამაში, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „რეინჯერსი“ მოხვდება.

— ჰო, მაგრამ გლაზგოური 1:1 საპასუხო მატჩის წინ დანიელთა წისქვილზე ასხამს წყალს...

— დანიელებს უგოლო ფრეც ჰყოფნით მეორე შეხვედრაში, მაგრამ გული მეუბნება, მაინც დავჩაგრავთ. სხვა თუ არაფერი, კლასით „რეინჯერსი“ ერთი-ორად აღემატება „კოპენჰაგენს“, ასეთ დროს კი, ჩემი აზრით, ნაკლებ მნიშვნელოვანია ის, თუ სად ტარდება მატჩი.

— თამაშის შემდეგ რა გითხრათ მაკლიშმა?

— გულგატეხილები აქეთ გაგვამხნევა, ყურები არ ჩამოყაროთო, დღეს კი დასვენების ნაცვლად მთელი გუნდი შეგვკრიბა და თეორიული მეცადინეობა ჩაგვიტარა. მატჩის ვიდეოფირი დაწვრილებით გაგვირჩია, აგვიხსნა ჩვენი შეცდომები და ხვალ სავარჯიშოდ დაგვიბარა. შაბათს „აბერდინთან“ გველის პრემიერლიგური მატჩი და სათანადო მომზადება გვმართებს.

— „აიბროქსზე“ თუ გიქომაგეს ახლობლებმა „კოპენჰაგენთან“ მატჩში?

— შოთა არველაძის ოჯახი ამსტერდამშია, ჩემებმაც ვერ მოახერხეს დროულად გლაზგოში ჩამოსვლა და ტრიბუნიდან მხოლოდ შოთა მქომაგობდა. ისე, კარგი იქნებიდა, ისიც მოედანზე ყოფილიყო, ეგებ მოგვეგო კიდეც.

ბაბა ბვანტალიანი



მიდინამო-მოდინამო

ტესერი წაიშალა, დინამო 2 შეანჯღრიეს

„დინამოში“ ახლა აღარც გია ფირცხალავა და აღარც ბრაზილიელი ტესერი

გუშინ ფოლოგრაფიულ ფოტო

ისევ თბილისის „დინამოს“ ამბები — გუშინწინდელი საკადრო ცვლილებები გუშინ გაგრძელდა და ალბათ იქით კვირას დამთავრდება.

გუშინდელი ამბავი კი ასეთია: „დინამო 2“ გია გეგუჩაძეს ჩაბარდა, რომელმაც ოთარ კორღალიძე შეცვალა. კორღალიძესთან ერთად დაითხოვეს მის თანაშემწეებიც — მალხაზ ლაცაბიძე და მამუკა აბუსერიძე. მწვრთნელების ეს შემადგენლობა გუნდს ერთი წელიწადი წვრთნიდა.

„დინამოდან“ წავიდა ბრაზილიელი ნახევარმცველი ტესერი. იგი თბილისიდან დღეს აიბარგება. მისი სატრანსფერო ფურცლის მიღება საქართველოს ჩემპიონებისთვის თითქოს პრობლემა არ იყო, მაგრამ ბრაზილიურმა „კურიტიბამ“ ტესერის უკომპენსაციოდ გაშვება არ ინება. არადა, „დინამოს“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა გუნდის გერმანული შეკრებისას ეს ერთი ფეხბურთელი ისურვა, რომელმაც მისი მოთხოვნები დააკმაყოფილა. ერთი სიტყვით, „დინამოში“ ტესერი აღარ ითამაშებს.

სხვა ამბები მომავალი კვირისთვის იყოს. ერთი ცხადია, „დინამოში“ კიდევაა სიახლეები მოსალოდნელი. რეორგანიზაციის პროცესი მიმდინარეობს და რა როგორ იქნება, ეს დღეები გვიჩვენებს.

ძოგა ინასარიძე

თბილისური ამბავი ზირაქიშვილზე



გუშინ ფოლოგრაფიულ ფოტო

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მეთორმეტე ეროვნული ჩემპიონატის მთავარმეგოლე და საუკეთესო ფეხბურთელი ზაზა ზირაქიშვილი კარიერას „თბილისში“ გააგრძელებს.

28 წლის ფორვარდი თემურ ლორთქიფანიძის გაწვრთნილ „თბილისში“ დღეს პირველად ივარჯიშებს, თუმც ტრანსფერი ჯერ გაფორმებული არაა.

წინა სეზონში ზირაქიშვილი ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა, მაგრამ ტრავმის გამო ბევრი მატჩი გამოტოვა. ახლა ნაოპერაციევი მუხლი ზაზამ უკვე სრულად მოირჩინა, „თბილისში“ მისვლამდე კი დამოუკიდებლად ვარჯიშობდა.

დავით თავართქილაძე

კოპლი-ბურთი, კოკა-ლიგა...

...და კიდევ ვარსკვლავი — ასეთი გახლავთ საქართველოს პროფესიული საფეხბურთო ლიგის ემბლემა, რომელსაც გენერალური სპონსორის ლოგოც ამშვენებს. მოგეხსენებათ, პროფლიგა ფეხს ახლა იდგამს და სიახლეებიც ნელ-ნელა და თანდათან მოდის. მალე ჟურნალისტებიც მივიღებთ პროფლიგურ აქსესუარს — ეროვნული ჩემპიონატის და თასის მატჩებისთვის საგანგებო აკრედიტაციებს დაგვირიგებენ.

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის
ლიგა

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

ქართული სტაგნაცია

პოლიტიკოსი — ბრექი

ფეხბურთელი — კეთილი ნამცხვარი

ბუბა ფალავანდიშვილის ფოტო



ალეკო ფალავანდიშვილის ფოტო

აჯაჯი ასათიანი, პარლამენტარი და ტრადიციონალისტთა ლიდერი – ჩვენი რესპონდენტი ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია და, ცხადია, პოლიტიკოსთაგან საინტერვიუოდ ამიტომაც ამოვარჩიეთ. „სარბიელს" არა ერთი ქართველი პოლიტიკოსისთვის ჩამოურთმევია ინტერვიუ, ასათიანთან კი ეს უკვე მეორედ მოხდა – ორწლიანი პაუზის შემდეგ

— როგორ ფიქრობთ, ფეხბურთი საქართველოში ამ ორი წლის შემდეგ უფრო პოლიტიზებული გახდა?

— ამას მე ვერ ვხედავ, თუ არ ჩავთვლით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელ არჩევნებს. ფეხბურთი და პოლიტიკა — ჩვენთან ამ მხრივ სტაგნაციაა. აი, იტალიაში სილვიო ბერლუსკონის წარმატებები პოლიტიკაში დიდად განაპირობა იმან, რომ ის „მილანის" პრეზიდენტია. აგერ, რუს ოლიგარქ რომან აბრამოვიჩს კაპიტალი უცხოეთში გადააქვს, ჩვენთან კი მძიმე მდგომარეობაა.

— ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ახსენეთ — მერაბ ჟორდანია არჩევნების წინ ამბობდა, ბადრი პატარკაციშვილის პროტეჟე კანდიდატს კახა თარგამაძე და ვანო ჩხარტიშვილიც უჭერენ მხარსო — როგორ უყურებთ პოლიტიკოსების ასეთ ჩართვას ფეხბურთში?

— ეს არანორმალურ მოვლენად სულაც არ მიმაჩნია. კარგია, როცა არ იმალება, თუ ვინ ვისი მხარდამჭერია. ჩვენში სერიოზული ცვლილებებია საჭირო.

— თბილისის „დინამო" ყოველგვარი ტენდერის გარეშე გაიყიდა — გაუმჭვირვალობა როგორ მოვლენად მიგაჩნიათ?

— არ ვიცი, ვის რისი ეშინია — ამით ხომ კარგ საქმეს ჩრდილი ადგება. არ ვიცი, რა პრობლემა იყო ყველაფრის თავიდანვე თქმა — არა მგონია, „დინამოს" პატარკაციშვილისთვის რაიმე ფინანსური ხეირი მოჰქონდეს.

— ფაქტია, პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა ფინანსურად ძლიერი კლუბი უმეტესწილად ფინანსურ წაგებაზე ან უმნიშვნელო მოგებაზეა. მაშინ რატომ დებენ პოსტსაბჭოთა ოლიგარქები ფულს ფეხბურთში? ეს მათთვის პირადი რესპექტაბელურობის საკითხია?

— დონეცკის „შახტარზე" ვთქვათ. მამაჩემი სამთოელი იყო, დონბასში უწევდა მუშაობა და ამ მხარეს კარგად ვიცნობ. დონბასი უფრო რუსული მხარეა და კიევის გუნდებთან დაპირისპირებას თავისებური დატვირთვა აქვს. ვფიქრობ, ახმეტოვი „შახტარში" ფულის ჩადებით თავის დანარჩენ ფულს იცავს — ასეთი პიროვნებები ხალხში კარგი რეპუტაციით სარგებლობენ. ზოგი ოლიგარქი ფეხბურთით ფულს ათეთრებს, ზოგიც ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგია.

— და რა შედეგის მომტანია ყოველივე ეს?

— კაცი მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ფიქრობდეს. ფრანკოს ფეხბურთი ძალიან უყვარდა და სანტიაგო ბერნაბეუზე ამბობდა, ესპანეთისთვის მან ჩემზე მეტი გააკეთაო. ფრანკო პატრიოტი, ნაციონალისტი დიქტატორი იყო და ფეხბურთისთვისაც ბევრს აკეთებდა, მაგრამ კომუნისტი დიქტატორების სტალინისა და ტიტოს მერე ყველაფერი უკან წავიდა, რადგან კომუნისტი დიქტატორები ყველაფერს საკუთარ თავზე აგებენ.

— საქართველოს ნაკრების რუსეთთან გამარჯვება ზოგმა პოლიტიკოსმა თითქმის საკუთარ თავთან გააიგივა — უცბად გამოჩნდნენ ფეხბურთზე შეყვარებული ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც ბავშვობაში თურმე ეზოს გუნდებს კაპიტნობდნენ...

— ასეთ შემთხვევაში მე კონკურსის ჩატარებას გთავაზობთ ბურთის კენწლაში — კარგად გამოჩნდება, ვის ჰქონია საქმე ფეხბურთთან, ბურთთან მოძრაობაში ყველაფერი გამოჩნდება. მოკლედ, ფეხბურთში პოლიტიკოსთა ტესტირება ადვილია. მე ასეთ კონკურსში ალბათ პირველ-მეორე ადგილებზე გავიდოდი. თუმც ვერ დავიბრალებ, რომ ქართული ფეხბურთის დიდი მესვეური ვარ.

— ჩვენი ნაკრების წარუმატებლობებს პირველ რიგში მწვრთნელის ფაქტორთან რომ აკავშირებენ, ამას თქვენც ეთანხმებით? ფეხბურთელებიც ამბობდნენ, ჯერ სწორი თამაშია საჭირო და მერე ბრძოლაო...

— ჩვენს ფეხბურთელებს იმ შემთხვევაში დავეთანხმებოდი, რომ არ არსებობდეს გერმანიის და იტალიის უმაღლესი თუ საშუალო დონის გუნდები, რომლებშიც არ არსებობს ფეხბურთელი, ვინც არ იბრძვის. პროფესიონალი ფეხბურთელი ბოროტი მანქანაა, ქართველი ფეხბურთელი კი კეთილი ნამცხვარია. ჩვენს ბიჭებს ეს ნუ ეწყინებათ, მაგრამ ფეხბურთელი გლადიატორი უნდა იყო, ფეხბურთელი რომ მინდორზე გადის, ბევრ რამეს კარგავს, ბევრ რამეზე ამბობს უარს. საბჭოთა ერაში ჩვენში ფეხბურთი უფრო ფეხბურთელისთვის იყო, ვიდრე მაყურებლისთვის. მე განსაკუთრებულად მიყვარს გლაზგოს „სელტიკი". ამ გუნდში მკვდარ, მისავათებულ ფეხბურთელს ვერასდროს ნახავთ, „სელტიკის" ფეხბურთელები არავის ინდობენ. ჰოდა, ჯერ ამისკენ შევტრიალდეთ და თუ ჩვენმა ბიჭებმა ასეთი რამ დაგვანახეს, მერე ყველას მკაცრად მოვთხოვოთ, რომ მან სწორი ფეხბურთი ათამაშოს.

— რით შეუძლია ქვეყნის მთავრობას და პოლიტიკოსებს, ფეხბურთს დაეხმაროს?

— ჩვენს პოლიტიკოსებს წარმატების მისაღწევად საძრახისი არაფერი არ მიაჩნიათ. მანკიერებებს რეალურად უნდა ებრძოლო და არა წივილ-კივილით. მაგრამ ჩვენთან ყველა იმაზე ფიქრობს, როგორმე შევარდნაძის ფრთის ქვეშ ადგილი დაიმკვიდროს, მათ შორის ისინიც, ვინც ყველაზე „მეამბოხეებად" წარმოგვიდგებიან ხოლმე. რას უნდა ელოდოს ფეხბურთი მათგან?

— ჩვენთან სპორტში ლუდის რეკლამირება რომაა აკრძალული, ამაზე რას იტყოდით?

— ეს სისულელეა, ლუდი რა სახიფათო და მავნე სასმელი ნახეს. მაგალითად, ინგლისში ეგრეთ წოდებული „ფუფუნების გადასახადები" სულ სპორტში მიდის. თუნდაც თურქეთის მაგალითი ავიღოთ. 70-80-იანი წლების მიჯნაზე თურგუთ ოზალმა პრეზიდენტობასთან ერთად ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობაც შეითავსა, მოკლე დროში აწყო საფეხბურთო მეურნეობა, ფეხბურთის სპონსორ კომპანიებს შეღავათები დაუწესა და თავგადაკლული თურქი გულშემატკივრების დახმარებითაც ფეხბურთი ფეხზე დააყენა.

— როგორ ფიქრობთ, პატრიოტიზმის, ეროვნულ ფასეულობების თემა აქტუალური აღარაა ფეხბურთისთვის და საერთოდ ჩვენი საზოგადოებისთვის?

— ის ტენდენცია, რომ ჩვენ არანაირი ეროვნული ფასეულებები არ შემოგვრჩა, ხელისუფლებამ შექმნა. აქაოდა, ზვიად გამსახურდია ნაციონალისტი იყო და ჩვენში ყოველგვარი პატრიოტული გრძნობები აიკრძალა. არადა, ნახეთ, რა ხდება განვითარებულ ქვეყნებში, თუნდაც ამერიკაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ქვეყანა ომობს, ანდა როგორ დაძლია კრიზისი იაპონიამ — მეწარმე მუშას ეუბნებოდა, წარმოიდგინე, თითქოს ბრძოლის ველზე ხარ შენი სამშობლოსთვისო.

— ეროვნულის ნაცვლად ჩვენში სულ სხვა ფასეულობებია პოპულარული და არც ფეხბურთია გამონაკლისი. რაში ხედავთ გამოსავალს?

— ახლა ყველას თავი მოაქვს, ყველა ძველი ბიჭია, არადა, შეიძლება, რომ მინისტრი, პოლიტიკოსი ამით ტრაბახობდეს? ნუთუ მათთვის ბავშვობამ არ ჩაიარა? არადა, ამ ხალხს ბავშვობაში ქუჩაში მაინცდამაინც ვერ ვამჩნევდით, ქუჩის ბიჭები სულ სხვები იყვნენ, მაგრამ ახლა ყველა იბრიქება. თუმც ჩვენში მაინც არიან ისეთი ახალგაზრდები, რომლებსაც სწავლა უნდათ და ჯანმრთელი, სპორტული სტილით ცხოვრობენ. ჩვენ მათი იმედი უნდა გვქონდეს.



ბადრი ჯაფარიძის ფოტოები

დავით თავართქილაძე

ინდური ფილმის პირველი სერია
ბუსაპას შურისძიება და ჯიუტი ჯიმი
ბუდაპეშტში უკუღმა წვიმს

REUTERS ბარტბისლიდან

„ჟილინა“ — „ჩელსი“. მასპინძელთა კარში პირველი გოლი ეიდურ გუდიონსენმა გაიტანა

ლონეცკში მატჩის წინა დღეს რუსმა ჟურნალისტებმა ყოფილი ლოკომოტიველი გიორგი დემეტრაძე ნახეს და „შახტარის“ ავანჩავანი ჰკითხეს. ქართველმა დონეცკელები მყისვე დაახურდავა, „ლოკომოტივი“ მეშახტეებს განსაკუთრებით მატჩის დასაწყისში უნდა უფრთხილდესო.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც დემეტრაძის წინასწარმეტყველება ახდა. შვეიცარიელ მსაჯ მასიმო ბუსაკას სასტვენი და მასპინძელთა თავქუდმოგლეჯილი იერიში ერთი იყო. რამდენიმე წუთში დონეცკელებმა სამი კუთხურის ჩაწოდება და კარისკენ დარტყმა მოახერხეს. „შახტარის“ შტურმი დაახლოებით ტაიმის შუაწელამდე გაგრძელდა. მოსკოველები არ დამფრთხალან და ნელ-ნელა მეტოქე საკუთარი საჯარიმოდან ცენტრისკენ მიაჩოჩოს.

და მასპინძლებს იქით შეუტიეს. ლოსკოვის დარტყმული პლეტიკოშამ კუთხურზე მოიგერია. ძირითად შემადგენლობაში გამწესებულმა პარკსმა ერთი კარგი მომენტი დაღუპა, ხოხლოვს კი კვლავ დონეცკელთა მეკარემ აუღო.

ტაიმის მიწურულს ტიმოშუკის ჩაწოდებულს ბელიკმა ლაზათიანი თავური დაუხვედრა და ოვჩინიკოვს მის მოსაგერიებლად გვარიანი ჯაფა დაადგა.

ამ მომენტიდან ორიოდ წუთში იური სიომინი იძულებული გახდა, მიხეილ აშვეთია შეეცვალა. ჩვენებურს მეტოქის გზააბნეული ხელი თვალში მოხვდა და მის ნაცვლად მარატ იზმაილოვი შევიდა.

შესვენების შემდეგ კვლავ „შახტარმა“ იძალა. განსაკუთრებით ბელიკი აქტიურობდა, რომელსაც ჯერ ფეხით, მერე კი თავით შეეძლო მასპინძელთა დაწინაურება.

მონდომებული დონეცკელების შესაჩერებლად მოსკოველებმა წესის დარღვევით მეტოქის შეჩერებას უხშირეს. ერთადერთი გოლიც „შახტარის“ სერბი ლეგიონერის, ვუკიჩის სიფიცხეს მოჰყვა. ბუსაკმა სტუმრები დაჯარიმა. ვუკიჩმა ბურთის გათამაშება სწრაფად, მაგრამ უხეიროდ სცადა და უწყინარ ვითარებაში პაშინინმა კარისკენ მოსხლეტილი მასპინძელი საჯარიმოში წააცია.

ნამატჩევს იური სიომინმა თქვა, რომ პენალტი მსაჯის შეთხზული იყო. მწვრთნელს კვერი ოვჩინიკოვმაც დაუკრა, რომელიც თერთმეტმეტრიანისკენ თითგაშვერილ შვეიცარიელს მიეჭრა და უთხრა: „ბაზელის სამაგიეროა?“ ალბათ გახსოვთ, რომ ბაზელში ესპანელმა მსაჯმა რუსეთის ნაკრებს საეჭვო პენალტი აჩუქა და ქულა გადაურჩინა.

მოკლედ, ზვონიმირ ვუკიჩმა საიმედოდ მოთამაშე ოვჩინიკოვს გაუტანა და „შახტარი“ მოსკოვს ორი კვირის შემდეგ ერთბურთიანი მარაგით ეწვევა.

იური სიომინმა, ფაქტობრივად, ორი იძულებითი ცვლილება გააკეთა. მეორე ტაიმში შეტევის გასაძლიერებლად ლოსკოვის ნაცვლად ბუზნიკინი გაამწესა, მაგრამ ექვს წუთში, აშვეთიას მსგავსად, მასპინძლებმა ისიც საექიმოდ გაისტუმრეს და ბუზნიკინი ახალწვეულმა ვაგნერმა შეცვალა. ბრაზილიელის გარჯით მწვრთნელი კმაყოფილი დარჩა.

შოტლანდიის ჩემპიონატის პირველ ტურში „რეინჯერსმა“ შინ 4:0 მოიგო, „სელტიკი“ კი სტუმრად უგოლო ფრეს დასჯერდა. თითქოს „ჩაფრები“ უკეთესად გამოიყურებოდნენ და „კოპენჰაგენის“ ძლევაც არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ დანიის ჩემპიონმა „რეინჯერსს“ „აიბროქსზე“ განავარდების საშუალება არ მისცა.

უკვე მეშვიდე წუთზე პეტერ ლოვენკრადსმა არტეტას დარტყმულს და სტუმართა მეკარის მოგერიებულს საგოლედ დაამატა. 50 ათასამდე მაყურებელსა და ალბათ თავად „რეინჯერსის“ ფეხბურთელებსაც „კოპენჰაგენი“ „მოზერუელი“ ან „დანფერმლაინი“ ეგონათ და მეტოქის იოლად განადგურება ივარაუდეს. მასპინძლებმა შესვენებამდე ორი მომენტი გაანიავეს, რისთვისაც მეორე ტაიმის დასაწყისში დაისაჯნენ. ტოდი იონსენმა საჯარიმოს წინ ბურთი მიიღო და კარისკენ შებრუნებულმა შტეფან კლოსს დაბალ კუთხეში გაუტანა.

წარმატებამ „კოპენჰაგენი“ გაათამამა და „ჩაფრებს“ შეხვედრის ბოლომდე გაუძალიანდა. ალექს მაკლიშმა სტივენ ტომასონით და „პორტუდან“ გადაბირებული ნუნუ კაპუშუთი შეტევის გაძლიერება ამაოდ სცადა.

„ჩვენ კოპენჰაგენში“ მოგვიწევს იმის გაკეთება, რაც შინ ვერ შევძელით, საამისოდ კი უკეთესად თამაში გვმართებს“ — თქვა „რეინჯერსის“ თავკაცმა, მისმა კოლეგამ კი დასძინა: „შედეგით კმაყოფილი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის დასაწყისში ჩემებმა ამაზრზენად ითამაშეს“.

სანამ გლაზგოში „აიბროქსზე“ მასპინძლები წვალობდნენ, ბუდაპეშტში „სელტიკმა“ სამასოიანი მტკ ოთხ ლუკმად გაყო. პირველ ტაიმში ჰენრიკ ლარსონისა და დიდიე აგატის გოლებს შესვენების შემდეგ სტილიან პეტროვმა და კრის სატონმა თითოც მიამატეს.

მეორე ნახევრის შუაწელში თამაში წვიმის გამო ოთხი წუთით შეწყდა. ოღონდ, წვიმა ციდან კი არა, მიწიდან ამოდიოდა. მოედნის სარწყავი უეცრად ჩაირთო და ახლო მყოფი ფეხბურთელები გააგრილა.

ნამატჩევს სტუმართა მწვრთნელი მარტინ ონილი მოკრძალებული გახლდათ: „ჩვენ ჯგუფური ეტაპი თითქმის გავინაღდეთ“. მტკ-ას მწვრთნელი შანდორ ეგერვარი კი გულახდილი იყო: „ასეთი შედეგის შემდეგ ოცნებაც კი ძნელია“.

რომან აბრამოვიჩის ფულმა პირველი, არცთუ შთამბეჭდავი, მაგრამ დამაჯერებელი გამარჯვება მოიტანა. „ჩელსიმ“ სლოვაკეთში ახალწვეულთაგან 5 ფეხბურთელი ათამაშა, მეექვსე, ჯო კოული, შეცვლაზე მეორე ტაიმში შევიდა. კლაუდიო რანიერი შენაძენებით კმაყოფილი იყო. განსაკუთრებით დამიენ დაფი შეაქო და ის ნამდვილად საუკეთესო გახლდათ ლონდონელ „არისტოკრატებში“.

უკბილოდ არც მასპინძლებს უთამაშიათ, რამდენიმე მომენტიც ჰქონდათ, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს ირლანდიელის 50-მეტრიანი რეიდი უზადო პასით და ეიდურ გუდიონსენის ზუსტი დარტყმით დასრულდა.

მეორე გოლი ჯო კოულმა შექმნა. მან ქუსლით დაუგორა ისლანდიელს, რომელსაც მასპინძელმა მცველმა მიხალო დრაჰნომ დასწრო და საკუთარ კარში ბურთი პარაშუტივით ჩაუშვა.

„ჟილინას“ მწვრთნელი მილან ლესიცკი: „წაგება არ მიყვარს, მაგრამ ეს უთანასწორო ბრძოლა იყო. ჩვენ „ჩელსის“ მოთამაშეებით ვერ შეედრებით და მარცხს კიდეც ველოდი“.

კლაუდიო რანიერი: ოუენ ბრიჯმადა ვერონმა ცენტრი მიითვისეს, თუმცა დაფი შეუდარებელი გახლდათ“.

სათადარიგოთა სკამზე ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი ბრძანდებოდა. „მე თავდამსხმელთა ფართო არჩევანი მაქვს და ვიღაცას დასვენება აუცილებლად მოუწევს“ — თქვა რანიერიმ, რაზეც ჯიმიმ მიუგო: „აქედან ფეხის მომცვლელი არ ვარ. „ჩელსში“ დავრჩები და ჩემი ადგილისთვის ვიბრძოლებ“.

ბელგიურმა გუნდებმა დღესასწაული მოიწყვეს. „ბრიუგემ“ ტრავმემიძალებულ „ბორუსიას“ პირველ ტაიმში აჯობა და ეს უპირატესობა ორ გოლში ასახა. ტაიმის შუაწელში პეტერ ვან დერ ჰეიდენის ზუსტი პასით ნასტია ჩეჰმა ისარგებლა, მერე კი თვითონ ვან დერ ჰეიდენმა იხეირა. „ბრიუგეს“ მეკარე დენი ვერლინდელმა, რომელსაც ახლახან 40 წელი შეუსრულდა, მხოლოდ ერთი შეცდომა დაუშვა და მარსიო ამოროზომ არ აპატია. იან კოლერის დარტყმული ვერლინდელმა ვერ მოიხელთა და დასწრებაზე ბრაზილიელმა საგოლედ დაჰკრა.

„ანდერლეხტმა“ კრაკოვის „ვისლას“ ისეთი გამართული თამაშით მოუგო, რომ მასპინძელთა მწვრთნელ უგო ბროოს ათქმევინა: „ეს თითქმის სრულყოფილი გუნდია. თითქმის იმიტომ, რომ ყველა შანსი გამოვიყენეთ, მეტოქე ფაქტობრივად უსაქმოდ დავტოვეთ და ბოლოს დასანანი გოლი გავუშვით. 3:0-ზე უფრო მშვიდად ვიქნებოდი“.

„მარსელმა“ „აუსტრია“ ბრწყინვალედ, ერთი შეხებით გათამაშებული კომბინაციის შედეგად გატანილი სიჩქარის გოლით დაამარცხა. ფრანგები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და ალან პერენის აზრით, მისმა გუნდმა გამარჯვება დაიმსახურე. „შინაც თუ ასე ვითამაშეთ, ჯგუფური ეტაპი გარანტირებული გვაქვს“ — დასძინა მწვრთნელმა.

სტამბოლში კვლავ „იმპერატორის“ დრო დაბრუნდა. „დირაბაქირის“ გაჭირვებით მძლეველმა „გალათასარაიმ“ ფათიჰ თერიმის თამადობით სოფიის ცსკა-ს ექვს წუთში ცხელი ჩაი გადაასხა და ბულგარული წიწაკის სიმწარე გააწელა. ძველებურად კარგად ათამაშებულა ჰასან შაში, რომელმაც პირველ ორ გოლში წილი დაიდო, მესამე კი არიფმა მიითვალა. ოთხიათასამდე ბულგარელი ქომაგი მატჩამდე „გალას“ გასალიზიანებლად „ფენერბაჰჩეს“ სახელს გაჰკიოდა, ნამატჩევს კი გამარჯვებულებს ტაში შეაგებეს.

გაგა ხუციშვილი

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE — ფესვამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები — CHAMPIONS LEAGUE

შახტარი (უკრაინა) 1:0 **ლოკომოტივი** (რუსეთი)

1:0 ვუკიჩი (56ბ)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიკეტგოროდოვი, პაშინინი, იგნაშევიჩი, ლეკხეტო, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი (ბუზნიკინი 68, ვაგნერი 73), ხოხლოვი, აშვეთია (იზმაილოვი 42), პარკსი

მალზაზ ასათიანი განაცხადში არ იყო

მწვრთნელი: იური სიომინი

გაძევება: პაშინინი (88)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

32 000 მაყურებელი

რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 **კოპენჰაგენი** (დანია)

1:0 ლოვენკრანდსი (7), 1:1 ტ. იონსონი (51)

რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, კ. მური, ხიზანიშვილი, ბოლი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, რ. დე ბური, ლოვენკრანდსი, მოლსი

შოთა არველაძე ტრაკმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

47 401 მაყურებელი

გალათასარაი (თურქეთი) 3:0 **ცსკა** (ბულგარეთი)

1:0 ჰასან შაში (3), 2:0 ჰაქან შუქური (6), 3:0 არიფი (37)

გაძევება: იორდანოვი (59, ცსკა)

ჟილინა (სლოვაკეთი) 0:2 **ჩელსი** (ინგლისი)

0:1 გუდიონსენი (42), 0:2 დრაჰნო (76ს.ჯ.)

მტკ (უნგრეთი) 0:4 **სელტიკი** (შოტლანდია)

0:1 ლარსონი (17), 0:2 აგატი (36), 0:3 ს. პეტროვი (70), 0:4 სატონი (90)

ვარდარი (მაკედონია) 2:3 **სპარტა** (ჩეხეთი)

0:1 პობორსკი (36), 0:2 გლუშკევიჩი (40), 1:2 როეერიუ (60), 2:2 გეორგიევსკი (75), 2:3 პობორსკი (89)

გაძევება: პოლედიკი (74, სპარტა)

ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 **ვისლა** (პოლონეთი)

1:0 იესტროვიჩი (11), 2:0 ლოვრე (36), 3:0 დინდანე (59), 3:1 ჟურავსკი (77ბ)

აუსტრია (ავსტრია) 0:1 **მარსელი** (საფრანგეთი)

0:1 სიჩოვი (4)

ბრიუგე (ბელგია) 2:1 **დორტმუნდი** (გერმანია)

1:0 ნ. ჩეპი (32), 2:0 ვერჰეინი (44), 2:1 ამოროზო (52)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0 **აეკ** (საბერძნეთი)

1:0 ნუნიესი (83)

პარტიზანი (სერბეთი) 0:1 **ნიუკასლი** (ინგლისი)

0:1 სოლანო (38)

რუსენბორგი (ნორვეგია) 0:0 **დეპორტივო** (ესპანეთი)

ლაციო (იტალია) 3:1 **ბენფიკა** (პორტუგალია)

1:0 კორადი (16), 2:0 ფიორე (52), 2:1 სიმეონ (64), 3:1 მიხაილოვიჩი (80)



REUTERS ბელგრადიდან

„პარტიზანი“ — „ნიუკასლი“. ტარიბო ვესტმა და ალან შირერმა ალბათ ღმერთს ახედეს

რას გადაგვეკიდა ეს მატერაცი?!



მარკო მატერაცის მსხვერპლი ამჯერად ფილიპო ინძაგი შეიქნა

მარკო მატერაცისა და ფილიპო ინძაგის ნამეტანი წაკინკლავების ამბავი კი გეცოდინებათ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ. ინციდენტი ტელეკომპანია TIM-ის მიერ ჩატარებულ სამთა ტურნირზე მოხდა. TIM-ის თასს ერთმანეთს იტალიური გრანდები — „იუვენტუსი", „მილანი" და „ინტერი" ეცილებოდნენ (საბოლოო გამარჯვება ამ უკანასკნელს დარჩა). მილანური დერბის დროს, როდესაც ერთტაიმიანი მატჩის დასრულებამდე ცოტა დრო რჩებოდა და „შავ-ლურჯები" 1:0-ს იგებდნენ, მატერაცი ინძაგის ძალიან უხეშად ეთამაშა. ამას თავად „პიპოსა" და მისი თანგუნდელების აღშფოთება მოჰყვა და შელაპარაკება შეხვედრის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა.

მატერაციმ მილანელების წინააღმდეგ უხეშად პირველად როდი ითამაშა. „შავ-წითლებიც" სწორედ ამას ჩივიან და „ინტერისა" და იტალიის ნაკრების აყლაყუდა მცველს მწვავედ აკრიტიკებენ. „მილანის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა მატერაცის უხეშობების სერია სათაურით „როდის უნდა დამთავრდეს ეს".

გავიხსენოთ განსაკუთრებით უხეში ეპიზოდები მატერაცის შესრულებით. 2003 წლის 12 აპრილს სერია A-ს მატჩში „ინტერის" მცველი ანდრეი შევჩენკოს ეუხეშა, ხოლო 13 მაისს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში წაქცეულ მანუელ რუი კოშტას ფეხი ჩაარტყა. ახლა კი ფილიპო ინძაგის ჯერიც დადგა.

„მილანის" გენერალური დირექტორი არიედო ბრაიდა: „თუ ეს ფეხბურთელი ვერ შეიგნებს, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მას მომავალ სეზონში ხშირად მოუწევს მოედნის დროზე ადრე დატოვება. ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ეს. მსხვერპლი იცვლება, მატერაცი არა, თანაც იგი არასდროს იხდის ბოდიშს, თუმცა „მილანი" მხოლოდ სიტყვებით არ დაკმაყოფილდება".

მეტოქეს არც „ინტერი" ჩამორჩა და თავის მხრივ „მილანი" გააკრიტიკა: „თამაშის მსვლელობისას მარკო ბორიელო ძალიან უხეშად გაისარჯა ივან კორდობასთან ბრძოლისას. ფრანჩესკო კოკო ალესანდრო ნესტას გამო ისე დაშავდა, რომ რამდენიმე თვე ვეღარ ითამაშებს. ფეხბურთელებმა მშვენივრად შეასრულეს თავიანთი საქმე და მატჩი ბრძოლით მოიგეს. ამაზრზენია „მილანის" მხრიდან ჩვენი მოთამაშეების უხეშობასა და მინდვრის უვარგისობაზე ლაპარაკი. ეს არ ეკადრება კლუბს, რომელიც ევროპის ჩემპიონად ითვლება".

გიორგი ძაძაბაძე



ეს დღეებია, ესპანეთში კლოდ მაკელელეზე ლაპარაკობენ და წერენ

ჩემს ხარჯზე იყიდეთ ბექემი?

აჯანყებულ მაკელელეს პრეზიდენტი შემოელანძღა

კლოდ მაკელელეს ჯანყი გრძელდება. ფრანგი ფეხბურთელის აგენტმა მარკ როჯერმა აჯანყებულის მეთაურობა იკისრა და ამ საქმეს უძღვება. მაკელელე კარგი ფეხბურთელია, მაგრამ როგორც მოსაუბრე, მოიკოჭლებს. მან აგენტისგან დარიგებულივით ილაპარაკა.

მარკ როჯერის აფეთქების მთავარი მიზეზი დევიდ ბექემის ხელფასი ყოფილა. „სამეფო კლუბმა" ინგლისელს კვირაში 120 ათასი ევრო ჯამაგირი დაუნიშნა, კლოდ მაკელელეს კი თურმე ოდენ 40 ათასი ჰქონია.

ხორხე ვალდანომ ფეხბურთელის მოშორება სცადა. მყიდველი, რა თქმა უნდა, „ჩელსი" იყო. ლონდონელებმა 7 მილიონი ევრო შესთავაზეს, ესპანელებმა კი 15 მოითხოვეს. საბოლოოდ „რეალი" 9 მილიონზეც ყაბულს იყო, მაგრამ „არისტოკრატებმა" იუარეს. მოკლედ, „ჩელსიში" მაკელელს გადასვლა დამუხრუჭებულია. თავად ფეხბურთელი მადრიდშია, მაგრამ ვარჯიშს უარობს. სანამ ხელფასს არ მომიმატებთ, ფეხს არ გავიქნევო.

მარკ როჯერი: „ორი წელიწადია, ჩემი კლიენტისთვის ჯამაგირის გაზრდას ვითხოვ, მაგრამ ძაღლადაც არ მაგდებენ".

მაკელელე: „ეს სამართალია? გუნდისთვის თავი არასოდეს დამიზოგავს, ზღვა ოფლი დამიღვრია, ალალად ვემსახურები და ჩემს გვერდით ვინმე ბექემს სამჯერ მეტს უხდიან. არ მესმის, ფლორენტინო პერესი ფულს ჩემს ხარჯზე ზოგავს? არავის დავეჩაგვრინები. თუ „რეალისთვის" ერთ-ერთი მთავარი ფეხბურთელი ვარ, მეტ ყურადღებას ვიმსახურებ".

ხორხე ვალდანომ აჯანყების ამბავი დაადასტურა. მაკელელემ ულტიმატუმი წაგვიყენა და გვარიან ფულად ჯარიმასაც ავაკრავთო.

ვაჟა ხუციშვილი

მუხლისთავები მანახე, ჟაკ!

ნიკოლა ანელკას ჭირვეულობის ამბავი ცნობილია. ფრანგი ფორვარდი არსენ ვენგერმა გამოზარდა და „არსენალიდან" გზა მადრიდის „რეალისკენ" დაულოცა.

ანელკა იქაურობას ვერ შეეწყო, მადრიდიდან პსჟ-ს მიაშურა, პარიზიდან კი ლივერპულში აღმოჩნდა. ბოლოს თავისი ბინა „მიკი მაუსის" სოროში, კევინ კიგანთან მონახა და „მანჩესტერ სიტის" შეეკედლა.

ფრანგ ფორვარდს ნაკრების მწვრთნელები არასოდეს სწყალობდნენ. მას 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის თამაში არც კი უნახავს. როჟე ლემერმა შარშან აზიაში არ იახლა. ახალმა მწვრთნელმა ჟაკ სანტინმა კი იგი შარშან ნოემბერში იუგოსლავიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, როცა ტრავმირებული სიდნეი გოვუს ნაცვლად მიიწვია, მაგრამ ანელკამ იუარა.

ახლა, პრემიერლიგის დაწყების წინ, ჭირვეული სამშობლოში ჩასულა და იქაური „პარი მატჩისთვის" მიცემულ ინტერვიუში უთქვამს: „ჟაკ სანტინი თუ დამიჩოქებს და შემეხვეწება, ნაკრებში დაბრუნებაზე ეგებ ვიფიქრო კიდეც. მე ყოველთვის ვამჩნევდი, რომ ნაკრების მწვრთნელებს ჩემდამი ცალყბა დამოკიდებულება ჰქონდათ. სანამ მთავარ გუნდში თამაშს ვიუარებდი, კარგად ავწონ-დავწონე, ცხელ გულზე კი არ მიმიღია ეს გადაწყვეტილება. სულ არ მჭირდება საფრანგეთის ნაკრები. იმითაც კმაყოფილი ვარ, რასაც „მანჩესტერ სიტიში" მივაღწიე. მადლიერი ვარ როჟე ლემერისა, რომელმაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე საქვეყნოდ შერცხვენილ გუნდში არ მიმიწვია."

ჩამუხვლა გამორიცხულია, სიტყვა სანტინიზეა.

ვაჟა ხუციშვილი



ნიკოლა ანელკა

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲕᲔᲠᲘᲙᲐᲣᲜᲚᲘᲒᲐ XVI ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲐᲞᲢᲘ 3:0 ᲘᲜᲢᲔᲠᲘ

ჰაკა	15	12	2	1	39:5	38
ჰიკ	15	9	4	2	28:13	31
ტამპერე	13	8	2	3	23:9	26
ალიანსი	13	7	3	3	24:19	24
მიუპა	13	7	2	4	22:12	23
ჰამენლინა	15	5	4	6	15:28	19
ლაჰტი	16	4	6	6	19:21	18
ტურკუ	16	4	5	7	18:25	17
იოკერიტი	14	4	4	6	17:19	16
იარო	15	3	7	5	20:25	16
ინტერი	15	4	3	8	22:26	15
ჯაზი	15	4	2	9	18:37	14
კტპ	14	4	1	9	20:28	13
კუოპიო	15	3	3	9	17:35	12

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲐᲚᲡᲞᲔᲜᲡᲙᲐ XVII ᲢᲣᲠᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲒᲑᲝᲠᲒᲘ 0:2 ᲒᲘᲝᲢᲔᲑᲝᲠᲒᲘ

იურგორდენი	17	12	1	4	39:14	37
ჰამარბი	17	10	4	3	29:16	34
ჰალმსტადი	17	9	3	5	29:19	30
მალმიო	17	8	5	4	30:16	29
იორგრიტე	17	8	2	7	26:29	26
გიოტებორგი	17	7	4	6	23:15	25
აიკ	17	7	4	6	25:22	25
ჰელსინგბორგი	17	7	3	7	16:25	24
იორებრო	17	6	4	7	19:24	22
ლანდსკრონა	17	5	6	6	16:21	21
ელფსბორგი	17	5	5	7	17:24	20
სუნდსვალი	17	2	7	8	15:27	13
იოსტერი	17	3	4	10	15:29	13
ენკოპინგი	17	2	4	11	17:35	10

ფერგიუსონს ხუთი წელი ელის?

ბარტეზი კოტრიალობს და კოტრიალობს

ალექს ფერგიუსონი მზად არის, „მანჩესტერ იუნაიტედთან" თანამშრომლობა კიდევ ხუთი წლით გაახანგრძლივოს. ამბობენ, ახალი გუნდის შექმნასაც მას ანდობენო.

61 წლის ფერგიუსონს, მოგეხსენებათ, ახალი ფეხბურთელები ემატებიან: 24 წლის ბრაზილიელი კლებერსონი და 18 წლის პორტუგალიელი კრისტიანო რონალდო „იუნაიტედს" გუშინწინ შეუერთდნენ, მანამდე კი გაფორმდა კონტრაქტები 22 წლის ერიკ ჯემბა-ჯემბასთან, 20 წლის დავიდ ბელონთან და 24 წლის ამერიკელ გოლკიპერ ტიმ ჰოვარდთან.

„მანჩესტერ იუნაიტედის" აღმასრულებელი შეფი პიტერ კინიონი: „როდესაც 18 თვის წინ მწვრთნელმა სამუშაოზე დარჩენა გადაწყვიტა, მისი მოსაზრება გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებით ხელახლა დაკომპლექტება გახლდათ. მას ყოველთვის ახალი გუნდის შექმნა და მისი მწვერვალზე აყვანა სურს, თუმცა კონტრაქტის გაგრძელებაზე ჯერ კიდევ უნდა ვისაუბროთ. ჩემთვის ერთი რამ ცხადია, ალექსი ძალიან ბევრი წლით უნდა დავიტოვოთ".

დღეს შოტლანდიელ სპეციალისტს ოთხწლიანი ხელშეკრულების ამოწურვამდე ორი წელიწადი დარჩა, თუმცა, როგორც ხედავთ, უკვე ახალ ხუთწლიან კონტრაქტზეა საუბარი.

აღსანიშნავია, რომ მანჩესტერელთა მიერ პორტუგალიელი რონალდოს 12,24 მილიონ გირვანქად შეძენამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, თუმც კინიონი ასე პასუხობს:

„არ მგონია, რომ ზედმეტი გადავიხადეთ. გახსოვთ, რას ამბობდნენ, რუუდ ვან ნისტელროი 19 მილიონად რომ შევიძინეთ? მაგრამ, ვან ნისტელროიმ გაამართლა და რონალდოც ასე გაამართლებს. ჩვენ ამ ფუნქციის შესასრულებლად რონალდინიო გვინდოდა, მაგრამ ვერ ვიყიდეთ. არა უშავს, გული არ დაგვწყდება, კრისტიანო რონალდო ჩინებულად გაართმევს საქმეს თავს".

ამასობაში კი „მანჩესტერ იუნაიტედმა" „სტოკ სიტისთან" 1:3 წააგო და, ტრადიციისამებრ, ამ დამარცხებაში მთავარ დამნაშავედ ფრანგი მეკარე ფაბიენ ბარტეზი გამოცხადდა. მოგეხსენებათ, ამერიკელი ჰოვარდის ჩამოყვანის შემდეგ ბარტეზი მეორე მეკარედ იქცა, მაგრამ ფერგიუსონისთვის თავისი ძლიერების დამტკიცება მოინდომა და შედეგი საკალალო მიიღო.

თავიდან ფრანგ მეკარეს შორეულ კუთხეში მარკ გუდფელოუმ გაუტანა. მდგომარეობა საუცხოო დარტყმით დიეგო ფორლანმა გამოასწორა, მაგრამ... იცით, კიდევ როგორი გოლი გაუტანა გუდფელოუმ წინ გამოსულ ფრანგს 30 მეტრიდან? მისი დარტყმული ბურთი ბარტეზს გადააფრინდა, ხარიხას მოხვდა, ბარტეზის ზურგს დაახტა და კარში შეევარდა. შემდეგ კი კრის იველუმომ ფრანგს ახლო კუთხეში გაუძვრინა.

ბარტეზი, საბოლოოდ, თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე რიკარდოთი შეცვალეს, ხალხმა კი დაცინვით ოვაცია მოუწყო.

ბარტეზმა იბარტეზა

ალექს ფერგიუსონმა კლებერსონი და რონალდო ახლახან ჩაიბარა, ჯემბა-ჯემბა, ჰოვარდი და ბელონი კი უკვე საქმეში გამოსცადა



ბარტეზი, საბოლოოდ, თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე რიკარდოთი შეცვალეს, ხალხმა კი დაცინვით ოვაცია მოუწყო.

მაგრამ, ამ ინგლისური ირონიის მიუხედავად, მას სამშობლოში ენდობიან. ნაკრების მწვრთნელმა ჟაკ სანტინიმ განაცხადა, რომ შვეიცარიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ იგი ფაბიენსაც ელაპარაკა და ფერგიუსონსაც, რის შემდეგაც გადაწყვიტა, რომ ბარტეზი კვლავ საფრანგეთის მთავარი გუნდის კარში იდგება.

პაპუნა კედია

ვმძებთ კვალიფიციურ მცველს დარეკეთ რეალში

მას შემდეგ, რაც მადრიდის „რეალმა" განაცხადა, რომ ახალი მცველი სჭირდება, ისევ აგორდა ჭორები, „სამეფო კლუბმა" გლადიატორ ვალტერ სამუელს დაადგა თვალი.

„რეალის" წარმომადგენლები უკვე დიდი ხანია, შორიდან უელიან არგენტინელ მცველს, ხოლო გუნდიდან ფერნანდო იეროს წასვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ „სამეფო კლუბს", სულ ცოტა, ერთი მცველი დასჭირდება და შესაძლოა, ეს ვალტერ სამუელი იყოს.

„ფერარი ვერ იმოძრავებს ბორბლების გარეშე. იმ ფეხბურთელების ოდენობა, რომლებიც ჩვენ გვაინტერესებს, დაახლოებით ათს უტოლდება" — განაცხადა „რეალის" ახალმა თავკაცმა კარლუშ კეირუშმა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „რომა" კვლავინდებურად ჯიუტად ირწმუნება, სამუელი გვჭირდება და არ იყიდებაო. ამ შემთხვევაში, პრესის ვარაუდით, „სამეფო კლუბში" გადასვლის კანდიდატები ოსერელი ფილიპ მექსენი, დორტმუნდის „ბორუსიას" მცველი კრისტოფ მეცელდერი და ნანტელი მარიო იეპესი არიან.

ახლა კი ფერნანდო მორიენტესზეც ვთქვათ. გეცოდინებათ, დიდი ხანია, იგი ფაბიო კაპელოს სწადია და ყველანაირად ცდილობს ესპანელის გადაბირებას, მაგრამ ამ ტრანსფერს საშველი არ დაადგა. არადა, წესით, თავად მორიენტესიც თანახმა უნდა ყოფილიყო, რადგან ჯერ კიდევ ვისენტე დელ ბოსკეს დროს ხშირად ვერ ხვდებოდა „სამეფო კლუბის" ძირითად შემადგენლობაში, ხოლო „რეალში" კარლუშ კეირუშის მისვლის მერე მორიენტესი სულაც მეოთხე თავდამსხმელად იქცა (რაულის, რონალდოსა და პორტილიოს შემდეგ).

თუმც მორიენტესმა მაინც „რეალში" დარჩენა გადაწყვიტა. როგორც ჩანს, აზიის ტურნეში 3 გოლით კლუბის ბომბარდირი რომ გახდა, იმედი მიეცა. „რომას" გარდა მორიენტესს „ლიონის" ვარიანტიც ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა, მომავალი სეზონი მადრიდში გაატაროს.

ბიორგი ძაძაბაძე

ვალტერ სამუელი

შენ, ხოსე?!

პეკერმანი ჩასეგუნდდა

ესპანეთის სეგუნდადივიზიონში ჩახედულმა კაცმა შეიძლება იცოდეს, რომ „ლეგანესი" წინა სეზონის ბოლოს ერთი დივიზიონით დაქვეითდა, ანუ გავარდა. საქართველოში ამის გამო თმაგაწეწილი და თვალცრემლიანი არავინ მეგულება, მაგრამ აი, რა მოხდა: რადგანაც ასევე სეგუნდადივიზიონელმა „კომპოსტელამ" ფეხბურთელების ვალები ვერ გაისტუმრა, ესპანეთის საფეხბურთო ლიგის დისციპლინარების გაფრთხილება კი ყურიდან ყურში გაუშვა, „კომპოსტელა" მესამე დივიზიონში ჩააბრძანეს, „ლეგანესი" კი დააბრუნეს. რატომ მაინცდამაინც „ლეგანესი"? სეგუნდადან გავარდნილთა ოთხეულის თავში იყო მოქცეული და იმიტომ.

მთელი ეს მონათხრობი ახალი ამბავის შესავალია. „ლეგანესის" სპორტულ დირექტორად ხოსე პეკერმანი დანიშნეს. პეკერმანი ცნობილი კაცია. არგენტინის ახალგაზრდულმა ნაკრებმა მისი თავკაცობით მსოფლიოს ჩემპიონატი სამჯერ მოიგო, ბოლოს 2001 წელს.



ხოსე პეკერმანი

არგენტინის მუსიკალური ინდუსტრიის ჯიბესქელ საქმოსან დანიელ გრინბანკს ამ კვირის დასაწყისში „ლეგანესის" აქციათა 86 პროცენტი უყიდია. პეკერმანს მან გაანდო ესპანეთში ფულის დაბანდების იდეა და თანხმობა მიიღო.

„ლეგანესის" მწვრთნელი მავანი არგენტინელი, კარლოს აიმარი იქნება. ახალმა მეპატრონემ ჯაგლაგი გუნდის გასაძლიერებლად ევროპაში რვა თვისტომი ფეხბურთელიც ჩაიყვანა და ისინი საკარაუდოდ კვირის ბოლომდე კონტრაქტებს გააფორმებენ.

აქვე ერთიც აღვნიშნოთ: გაძევებულმა „კომპოსტელამ" მილიონ 100 ათასი ევრო თუ მოიძია და ვალები გაისტუმრა, სეგუნდადივიზიონში დაბრუნებას კვლავ შეძლებს და ასეთ შემთხვევაში ხოსე პეკერმანს მესამე ლიგაში ყურყუტი მოუწევს.

ვაჟა ხუციშვილი

გაქცევა საგიჟეთიდან

სეზონის დაწყების წინ „ფენერბაჰჩე" კრისტოფ დაუმს ზარზეიმით ჩააბარეს. გერმანელმა ორი ბრაზილიელი დაიმატა, „ფეიენოორდიდან" პიერ ვან ჰოიდონკი გადაიბირა და მეკარისთვის „ბარსელონას" მიადგა. დაუმს კატალონიაში უსაქმოდ მყოფი რობერტ ენკე ეგულებოდა. უსაქმოდ კი იმიტომ იყო, რომ „ბარსელონაში" „ფენერბაჰჩედან" რუშთუ გადაიყვანეს და თურქი ძირითად შემადგენლობაში ჩაჯდა.

ენკე ივლისის ბოლოს სტამბოლში ჩავიდა და 31 ივლისს კონტრაქტს ხელი მოაწერა. პირობის თანახმად, იგი თურქეთში ოჯარის წესით ორი წლის მანძილზე უნდა დარჩენილიყო.

მან ახალ გუნდში ერთი ამხანაგური მატჩიც გამართა. ჩემპიონატის პირველ ტურში „ფენერმა" „ისთანბულს" უმასპინძლა. „ლურჯ-ყვითლების" გიჟმაჟი ქომაგობა თანაქალაქელთა განადგურებას ელოდა.

კრისტოფ დაუმი მატჩის შემდეგ გვარიანად ლანძღეს და თათხეს, რადგან მისმა ნაქებმა გუნდმა 0:3 წააგო.

მთავარი ამ ამბავში ენკეა, რომლის შეცდომების გამოც დამარცხდა „ფენერბაჰჩე". ნამატჩევს საბარალო ენკე ქომაგთა ისეთ წნეხში მოექცა, რომ მეორე დღესვე სტამბოლის დატოვება გადაწყვიტა. კრისტოფ დაუმი ეხვეწა, მაგრამ ვერ გადაათქმევინა. გერმანელმა მეკარემ გუდანაბადი აიკრა და თურქებისგან დაშინებული ბარსელონაში დაბრუნდა.

როგვან თურგია



რობერტ ენკე

ვინ არის ბექემი?

მოგზაურობა საჰარაში უვიცის აღმოსაჩენად



ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ გადაწყვიტა შეემოწმებინა, არის თუ არა დედამიწაზე ადამიანი, რომელსაც დევიდ ბექემის შესახებ არაფერი სმენია. საამისოდ, რედაქციამ გამოყო და დააფინანსა რამდენიმე თანამშრომელი, რომლებიც... საჰარას უდაბნოში მიავლინა





ბევრი იარა თუ ცოტა, „სანის“ პირმშვენიერმა რეპორტიორმა რედაქციის დავალება შეასრულა





საქმე ის გახლავთ, რომ „სანის“ აზრით, სწორედ საჰარა უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც ასეთ ადამიანს შესაძლოა გადაეყროდნენ. ვფიქრობთ, აქ მდიდარი რედაქციის თავგადასავლის მოყვარეობა და ეგზოტიკური საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნების სანაქებო სურვილი უფრო მნიშვნელოვანი იყო, თორემ ისეთი კაცის საპოვნელად, რომელსაც ბექემი არ გაუგონია, შეეძლოთ უფრო „ჩვეულებრივ“ ადგილას, ვთქვათ აშშ-ის რომელიმე შტატის რომელიმე ქალაქში მიბრძანებულიყვნენ. მაგრამ ამას ხიბლი არ ექნებოდა.

ერთი სიტყვით, „სანის“ კორესპონდენტებმა ლონდონიდან გეზი ჯერ პარიზისკენ აიღეს, სადაც თვითმფრინავი გამოიცვალეს და, მალის დედაქალაქ ბამაკოს ეწვივნენ. ბამაკო ინგლისელებს ღამის ორ საათზე 33 გრადუსიანი სიცხით დახვედრია.

მალიში ბექემის ცნობა პრობლემა არ არის. ეს ქვეყანა ღარიბია, თორემ ფეხბურთი იციან. ამაში ლონდონიდან მივლინებული ჟურნალისტებიც დარწმუნდნენ, როდესაც პირველივე კაცმა, ტაქსის 30 წლის მძღოლმა კითხვაზე, ვინ არის ბექემი, უპასუხა: „კი, მაგრამ რა ეშველება ახლა „მანჩესტერ იუნაიტედს?“

ბამაკოდან ჟურნალისტები 398 მილით მოშორებულ მოპტისკენ გაეშურნენ. თურმე მძღოლი ამბობდა, გზას 8 საათი დასჭირდება და გაჩერებით მხოლოდ ერთხელ, ტუალეტისთვის — ანუ დიდ ბუჩქებთან — გავაჩერებო, მაგრამ 4 საათის შემდეგ ბენზინის ჩასასხმელად რომ დამუხრუჭებულან, მივლინებულთ ექსპერიმენტის გაგრძელება განუზრახავთ და შორიახლოს მოთამაშე ბავშვებისკენ წასულან, მაგრამ ბიჭებისგან თუ არა, ერთ-ერთ ბავშვს ბექემის 7 ნომრიანი მაისური დაუნახავთ.

მოპტიდან „სანის“ ჟურნალისტები ტიმბუქტუსკენ, 450 მილით დაშორებული ქალაქისკენ გაეშურნენ. გზად მოგზაურთა „ჯიპი“ წყალში გაჩხერილა და ბარგის მშრალზე ზურგით გატანა დასჭირვებიათ, სადაც მავანი წამოსწევიათ თავიანთი მანქანით, დახმარება და იმასაც დაპირება, რომ აჩვენებდა კაცს, რომელმაც ბექემის ვინაობა არ იცის.

ასე და ამგვარად, ინგლისელ ჟურნალისტებს მიზანი აუსრულებიათ.

„კაცი, რომელსაც გაჩვენებთ, ერთი დიდი ბელადის შვილია. მისი ოჯახი ახლომახლო სულ ერთი თვეა, რაც დასახლდა“ — უთქვამს ზემოხსენებულ მავანს და მეორე დილით, ტიმბუქტუდან ორი აქლემით უდაბნოში შეძღოლია რეპორტიორებს. ოთხსაათიანი გზის შემდეგ მოგზაურთ ხუთი კარავი დაულანდავთ და ამ ხუთიდან ყველაზე დიდში 26 წლის აღალჰი აღ მოჰამადი უნახავთ, სწორედ მას უკითხავს ბექემის ფოტოს დანახვაზე:

ვინ არის ეს კაცი?

ჟურნალისტები ბევრითად დაუსხდნენ და მოუყვნენ ვინც იყო დევიდ ბექემი.

„ყოჩაღ! — უთქვამს აღალჰი აღ მოჰამადს, ბელადის შვილს — ეს ფოტო დამიტოვეთ. დავხედავ და გამახსენდება, რომ ყოველდღიური შრომით შეიძლება ადამიანმა ძალიან ბევრს მიაღწიოს“.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა ფოტო დატოვეს და ლონდონში დაბრუნდნენ.

ბაბუნა კედია

უსიყვარულოდ!

მეკარემ ქალი ბურთივით გაუშვა

გამოვიდა სარეაბილიტაციო კლინიკიდან სუპერმოდელი სოფი ანდერტონი და ორ დღეში, ერთი ქართული სიმღერისა არ იყოს, საყვარელმა დასტოვა. საყვარელი ავსტრალიელი მეკარე მარკ ბოსნიჩი გახლავთ, რომელმაც ქალს თილისმა დაუტოვა თუ არა, უცნობია



მარკის და სოფის გზები გაეყარა

მეორე დილით სოფიმ მაინც მოახერხა მარკთან ტელეფონით დაკავშირება. მაგრამ მარკმა უთხრა, რომ მისი ბინიდან აბარგებულიყო. სოფის წასასვლელი არსად ჰქონია.

არადა, გასულ კვირაში ბოსნიჩი ამერიკაში, კლინიკაში ჩასულა, რათა ქალი იქიდან წამოეყვანა და თურმე სულ სიყვარულს ეფიცებოდა.

ერთი სიტყვით, არის სხვა მოსაზრებაც. კერძოდ, იმავე „სანმა“ სოფის სხვა მეგობრისგან შეიტყო, რომ თურმე, ნუ იტყვით და, თავად ქალს მოყირჭებია მეკარე და კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ მასთან განშორებას გეგმავდა.

ცნობისთვის: ბოსნიჩი „ჩელსიმ“ კოკაინის ტესტზე ჩავარდნისთვის გააგდო.

ბაბუნა კედია

მარკის და სოფის გზები გაეყარა

არადა, „ჩელსიდან“ გაგდებული გოლკიპერი სოფის მხარში დგომას პირდებოდა. ეუბნებოდა, ამერიკულ კლინიკაში ნარკომანობას რომ გადაგაჩვევენ, შენს გვერდით მიგულეო.

საქმე ასე ყოფილა: ფეშენებელურ რესტორან „აივიში“ ბოსნიჩი და სოფი სულ ტკბილი ღიმილით ატარებდნენ თურმე დროს, შემდეგ ეგრეევე ტკბილად გამოსულან დასავლეთ ლონდონში, უბან ნაითსბრიჯში, გალამაზებულ-გაკოხტავებულ ბინაში მისულან და იქ ამბავი ამტყდარა... მარკს მთელი ბინა დაუმტვრევია და სადღაც გავარდნილა, სოფი კი საძებნელად გაჰყოლია.

„სანმა“ გამოქექა, ვინ იყო იმ საღამოს „აივიში“. ცნობები გამოსტყუა ახლობლებსაც. საბოლოოდ ასეთი სურათი გამოდის:

„სოფი და მარკი ბედნიერები იყვნენ. სოფი საუცხოოდ გამოიყურებოდა, ლამაზი საზაფხულო კაბა ამშვენებდა და ორივენი ღიმილად იღვრებოდნენ. რომ გადიოდნენ, სოფი მარკს მკლავზე ეხებოდა. ისინი ქებში (ანუ ტაქსიში) ჩახტნენ და კაზინოსკენ გაეშურნენ, მაგრამ საღამო სკანდალით და მარკის გაქცევით დაასრულეს. შემდეგ სოფი ეძებდა, ყველა ის კლუბი დაიარა, სადაც მარკი დადის ხოლმე, მაგრამ ვერ ნახა და ბოლოს მეგობართან წავიდა“.

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

საკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

„...და ან ცაზე ვარსკვლავები

დასაწყისი გუშინდელ „სარბიელში“

დიდი დეშანი



...„იუვენტუსში“ 25 წლისა მოვხვდი. ეს ასაკი სპორტსმენისთვის ოპტიმალურია, თუმცა, რომ გითხრათ, ალპებს გადაღმა იოლი ცხოვრება მელოდაო, მართალი არ ვიქნები. ხეირიანად ჩასულიც არ გახლდით, რომ შუა ვარჯიშზე სრულიად სულელურად დავშავდი. დიაგნოზი: აქილევსის მყესის ნაწილობრივი გაწყვეტა. იძულებული შევიქენი ოპერაცია გამეკეთებინა და ექვსი თვე ბურთს არ მივკარებოდი.

რა ხდება ჩვეულებრივ ამ დროს? ამ დროს გამოჩნდებიან ხოლმე სკეპტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ ყველაფერი ცუდად იქნება და ასეთი ფეხბურთელი გუნდიდან ისე წავა, რომ ბურთს ერთხელაც ვერ შეახებს ფეხს. გადავწყვიტე, ამ ხალხისთვის ლაპარაკით გულის ფხანის საშუალება მიმეცა, თავად კი ჯანმრთელობის აღდგენაზე მეზრუნა.

1995 წლის 19 თებერვალს, „ნაპოლის“ წინააღმდეგ „იუვენტუსის“ ძირითად შემადგენლობაში ვიყავი!

იმ, ჩემთვის პირველ წელიწადს, მართალია, მხოლოდ 14 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა, მაგრამ იტალიის ჩემპიონობაც მოვიპოვეთ და თასიც. ისე, შეგვეძლო სამი ჯილდოც მოგვეგო, მაგრამ სამწუხაროდ, უეფა თასზე „პარმასთან“ დავმარცხდით, თუმცა... საუკეთესო დღეები ჯერ წინ იყო.

„იუვენტუსში“ ყოველმხრივ გავნვითარდი: ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად. გუნდის სათამაშო სისტემაც იმდენად მომერგო, რომ აბსოლუტური სრულყოფილების და თვითგამოხატვის შეგრძნება მეუფლებოდა. მე გახლდით „რეჯისტა“, ანუ ნახევარმცველი, რომელმაც ბურთი უნდა მოიპოვოს, მოიგოს და ყოველივე ამისგან ძალიან ბევრი მივიღე, ოღონდ გავეცი კიდეც.

ჩემი „იუვენტუსში“ მისვლიდან ორი წლის შემდეგ გუნდში ზინედინ ზიდანიც მოვიდა. იცით, ამქვეყნად არიან ფეხბურთელები, რომლებიც სიამაყით ამბობენ, რომ მათ მარადონას მხარდამხარ უთამაშიათ, სწორედ ასევე შემიძლია განვაცხადო: მე ზინედინ ზიდანის გვერდით მითამაშია.

თუმცა თავიდან ვიცოდი, რომ ზიდანს შეგუება გაუჭირდებოდა და მხარში ამოვუდექი, მოთმინება ვურჩიე და ვუთხარი, გაქცევაზე არც ეფიქრა, რადგან მისი უკიდეგანო შესაძლებლობის ამბავი ვიცოდი. ზიზუ საუკეთესოთა შორის საუკეთესოა, ოღონდ უპირველესად როგორც ადამიანი.

ტურინში ერთმანეთისგან არცთუ შორს ვცხოვრობდით. უფრო სწორად, ვცხოვრობდით ქალაქს გარეთ, ხმაურისგან მოშორებით და იქ დავმეგობრდით. ჩვენს დამეგობრებას ხელი იმან შეუწყო, რომ ორივენი „იუვენტუსის“ „ფრანჩეზი“ ანუ ფრანგები ვიყავით.

იცით, ერთხელ მიშელ პლატინიმ თქვა, დიდიეს ყოველთვის იღბალი სწყალობდაო. მართალია. ყოველთვის საჭირო დროს აღმოჩნდებოდი ხოლმე საჭირო ადგილას, გნებავთ, მარსელში, გნებავთ ტურინში და გნებავთ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში. დახეთ, რა ხდებოდა ტურინში ჩემს მისვლამდე: ცხრა წლის განმავლობაში „იუვენტუსს“ არაფერი მოეგო. ჩემი მივლის შემდეგ? ხუთ წელიწადში მოვიგეთ აბსოლუტურად ყველა შესაძლო ტიტული — ჩემპიონთა თასი, სამი სკუდეტო, იტალიის თასი, ორი იტალიური სუპერთასი, ერთი ევროპული სუპერთასი და ერთი საკონტინენტთაშორისო თასი.

მაგრამ ხუთი წელი რომ გავიდა, მივხვდი — ჩემი ცხოვრების კიდევ ერთი ეტაპი ამოიწურა. ტურინში მხოლოდ დაღმა თუ წავიდოდი, ამიტომ კარიერის კიდევ ერთი, ბოლო მიზანი უნდა მომეძებნა.

...მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ შემეძლო სულაც წავსულიყავი ფეხბურთიდან, მაგრამ არა. გამარჯვების არანორმალური წყურვილი ჩემში, ალბათ, არასდროს მიიძინებს. ჩემთვის მნიშვნელობა ერთადერთ რამეს აქვს, გამარჯვებას. მეპატიჟებოდნენ „მონაკოდან“ და ბილბაოს „ატლეტიკიდან“, მაგრამ ბილბაოში წასვლა არ ვისურვე, რადგან არ მინდოდა ამა თუ იმ გუნდში იმიტომ მეთამაშა, რომ ბასკი ვარ. ერთი სიტყვით, ჩემი წარმოშობის ფეხბურთთან შერევა და რამენაირად დაკავშირება არ მსურდა, „მონაკოს“ ამბავი კი სულ ბოლო წამს ჩაიშალა. ასე რომ, დარჩა „ჩელსი“ — ჩემი შეძენა ვიალის უნდოდა.

ჯანლუკა ვიალის „იუვენტუსიდან“ ძალიან კარგად ვიცნობდი. ის ცენტრფორვარდი იყო. ჩვენ ორი წელიწადი ვიყავით ერთად და ძალიან კარგი ურთიერთობაც გვქონდა. ერთი სიტყვით, ახალი გამოწვევა მომეწონა, თან ჩემს ორ მეგობარს, ფრენკ ლებეესა და მარსელ დესაის მხარდამხარ ვითამაშებდი.

და იმედი არ გამიცრუვდა, მართლა აღმოვაჩინე ახალი სამყარო — თამაში ყოველ სამ დღეში ერთხელ დეკემბერი დასვენების გარეშე — მანამდე საახალწლოდ სულის მოთქმა მქონდა გამომუშავებული — და სხვა. ჩემდა საამაყოდ უნდა გითხრათ, რომ ამ განსხვავების მიუხედავად, პირველივე სეზონში 61 თამაშიდან 49-ში მივიღე მონაწილეობა და გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშეც გავხდი. ამასთან, ჩემს ჯილდოებს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი დავამატე, რაც ყოველთვის დიდ მოგონებად დამრჩება. წარმოიდგინეთ: მითიური სტადიონი „უემბლი“, რომლის ერთი მხარე ლურჯია, იმიტომ, რომ „ჩელსის“ ქომაგები სხედან, ხოლო მეორე მხარე „ასტონ ვილას“ ფერებით არის მორთული. ატმოსფერო მართლაც საოცარი გახლდათ. ჩვენ დი მატეოს გოლით 1:0 მოვიგეთ.

დიახ, ბევრი ფინალი მომიგია, მაგრამ ეს განსაკუთრებულად ჩამრჩა მეხსიერებაში.

ერთი კი მართალია... ლონდონში ვიალისთან ურთიერთობა გამიფუჭდა. თავად ლონდონი კი შესაგუებლად გამოდგა ძნელი. იცით, მე და კლაუდი ძალიან სამხრეთული ბუნების ადამიანები ვართ და თან იქ, ინგლისში, ცხოვრება გაცილებით ძვირია...

...ერთი სიტყვით, ლონდონიდან წასვლა მსურდა, თუმცა მაინც ვიყოყმანე. საბოლოოდ წავედი „ვალენსიაში“, რომელთანაც სამწლიანი კონტრაქტის ამბავი სამად სამ დღეში მოვაგვარე. ეს სწორედ ის გახლდათ, რაც მინდოდა. უპირველესად, მეოთხე ქვეყანა, მეოთხე ევროპული ლიგა, მეორე — გადავედი ამბიციურ კლუბში, რომელიც წინა სეზონში ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო და მესამე — ესპანური მზე და ცხოვრების ხარისხი. ვალენსიაში მზე არასდროს ჩადის. კლაუდი ბედნიერი იყო, მეც ჟოსელინ ანგლომასთან ერთად ვიქნებოდი. მე და მას „მარსელსა“ და საფრანგეთის ნაკრებში გვითამაშია ერთად. ერთი სიტყვით, ვალენსიაში ყველაფრით ნასიამოვნები დავრჩი გარდა იმისა, რომ ჩემპიონთა თასის ფინალში გასულებმა „ბაიერნთან“ პენალტებით წავაგეთ.

...1989 წლის 29 აპრილს, 20 წლის ბიჭმა პირველად ვითამაშე საფრანგეთის ნაკრებში, მაგრამ მანამდე... ტელეფონით დამირეკეს და მითხრეს, პლატინი ნაკრებში ვიწვევესო. 88 წელი იყო.

არასდროს დამავიწყდება ბერნარ პრადოს ამაგი. იმხანად თავს ძალიან პატარად ვგრძნობდი, მით უფრო ამხელა ვარსკვლავების გვერდით. მე ნახევარდაცვაში პრადოს მხარდამხარ მთამაშებდნენ — გამოუცდელი ყმაწვილი ვეტერანთან მოვხვდი. ის გზას მიკვლევდა, მელაპარაკებოდა, მაჩვენებდა საით წავსულიყავი. მარად მისი მადლიერი დავრჩები.

მაგრამ საფრანგეთის ნაკრებს მხოლოდ კარგი დროება არ ჰქონია. ვის დავიწყდება 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში დატრიალებული კოშმარი. მე ნამდვილად ვერ დავივიწყებ, რადგან ამ კოშმარის მონაწილე ვიყავი. ის, რაც მაშინ ისრაელსა და ბულგარეთთან მოგვივიდა, მხოლოდ არაპროფესიონალიზმი იყო და მეტი არაფერი. ეს ყველაფერი ჩემს კარიერაზე მიცხებულ შავ ლაქად დარჩება. იმ სისულელის გამო მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მეორე შესაძლებლობა გავუშვი ხელიდან. კარგად ვიცოდი, რომ ბევრი შანსი აღარ მექნებოდა.

მართლაც, 92-სა და 94-ს შორის საფრანგეთის ნაკრების ისტორიაში ბნელი პერიოდი იდგა — ევროპის ჩემპიონატზე იმედი გაგვიცრუვდა, მსოფლიოზე კი ვერ გავედით. ეს ზოგადი კოშმარი ჩემთვის საგანგებოდ საშინელება იყო, რადგან, როგორც გითხარით, მოგებებისადმი ავადმყოფური ლტოლვა მაქვს.

მაგრამ 1995 წლის 11 ოქტომბერს, რუმინეთის წინააღმდეგ მოედანზე საფრანგეთის განახლებული ნაკრები გავიდა. ეს უფრო დამფუძნებელ მატჩს ჰგავდა. იმ დღეს რომ წაგვეგო, ემე ჟაკე გადადგებოდა, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ვეღარ მოვხვდებოდით, გუნდი დაიშლებოდა და შესაბამისად, ველარც მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მოვიგებდით სამი წლის შემდეგ. ერთი სიტყვით, იმ წამს მომავალი ჩვენს ხელთ იყო.

ჩვენ გავიმარჯვეთ და ევრო 96-ზე გავედით. იქ, ევროპაზე ნახევარფინალშიც ვითამაშეთ, მაგრამ ჟურნალისტები ძალიან უხეშად გვაკრიტიკებდნენ.

სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონატზე ერთმანეთი გავიცანით უკეთ და ამ გამოცდილებამ მომავალში ძალიან დიდი როლი ითამაშა. სწორედ მაშინ, იმ დღეებში გამოიკვეთა მიზანი, ჩამოყალიბდა ოცნება და...

...ეს იყო გზა გაუგებრობაში. ერთი თვით ადრე მე და ზიზუმ „იუვენტუსის“ შემადგენლობაში „რეალთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი წავაგეთ და, გულწრფელად გეტყვით, იმ ლიგის მოგებას უფრო ველოდი, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატისას. ახლა თამაშების მიყოლებით გახსენებას აღარ დავიწყებ, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ ყველაფერს სამხრეთ აფრიკასთან პირველი შეხვედრა წყვეტდა. იმ დღეს საკუთარი თავისთვისაც კი სრულიად უცნობი გუნდი ვიყავით, ორი წლის განმავლობაში ოფიციალური შეხვედრა არ [illegible] თი შეგრძნება გვქონდა, რომ ძთელი დედამიწა ჩვენ გვიყურებდა, მარსელში.

მახსოვს, თამაშის წინ რა გვითხრა ემე ჟაკემ: „ნუ იღელვებთ, უბრალოდ ითამაშეთ და მატჩს მიპ ყევით“. კიდევ, მახსოვს ქარმა გამაკვირვა. მართლა ძლიერი ქარი უბერავდა „ველოდრომს“, წრეებს უვლიდა. ფაბიენ ბარტეზსაც ისეთივე გაოცება შეენიშნე. დერეფნის ბოლოს, ტრიბუნაზე ზულუები რაღაც რიტუალურს მღეროდნენ — ჟრუანტელმა დამიარა.

მხოლოდ მაშინ მოვისვენე, როდესაც კრისტოფმა ანგარიში გახსნა. მაშინ მივხვდით, რომ მთელი გზის გავლა შეგვეძლო.

კიდევ მინდა ხორვატიასთან მატჩი გამოვყო. იმ დღეს ფინალში ლილიანმა (ტურამმა) გაგვიყვანა, ფეხბურთელმა, რომელსაც არასდროს გააქვს გოლები. ეს ნიშანი იყო — მახსოვს, იმ საღამოს მარსელს ვეუბნებოდი ამას ჩვენს ოთახში. ძალიან მშვიდად ვიყავით, თვით 12 ივლისამდე.

12 ივლისს, ჩემი ცხოვრების უმთავრეს შეხვედრას ველოდი. მე უნდა მეთამაშა ჩემი ოჯახის, მთელი ბასკეთის, ბიქსენტეს (ლიზარაზუს, ისიც ბასკია) ოჯახის, „სტად დე ფრანსეს“ მაყურებლის, მთელი მსოფლიოს წინაშე. და მაინც, დაძაბული არ გახლდით, გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ მეორე დილით მსოფლიოს ჩემპიონის რანგში გავიღვიძებდი.

...რა ბედნიერებაა, მსოფლიოს ჩემპიონობიდან ორ წელიწადში ევროპის ჩემპიონები ვხდებით. მწვერვალზე ასვლა ძნელია, მაგრამ დარჩენა კიდევ უფრო — მერწმუნეთ, ამ ტიტულის მისაღწევად გვარიანად ვიწვალეთ. მთავარი, კარგ მომზადებასთან ერთად ის იყო, რომ ჩვენ ერთად ყოფნის, ცხოვრების და ბრძოლის წესი უკვე ვიცოდით.

სიძნელეებს მეოთხედფინალიდან შევეჯახეთ და ყოველ შეხვედრას ბოლოდ აღვიქვამდით. პენალტი, რომელიც მეოთხედფინალის ბოლოს რაულმა ვერ გაგვიტანა, პენალტი, რომელიც ნახევარფინალში ზიდანმა პორტუგალიას შეუგდო და სრულიად გიჟური ფინალი იტალიასთან, რომელიც ჩემს საფეხბურთო ცხოვრებაში ცალკე დგას. ჩვენ იმ დღეს სულის სიმტკიცემ, მენტალურმა სიძლიერემ მოგვაგებინა. მაშინაც კი, როდესაც თამაში მთავრდებოდა და წინ იტალია იყო, ერთი წამით არ გვიპანიკია.

მართლა ძალიან მიხაროდა ფინალში იტალიას რომ უნდა შევხვედროდით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ფეხბურთელების უმრავლესობას კარგად ვიცნობდი და მერე ჩვენ, საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები იტალიელებთან ვალში ვართ — სწორედ კალჩოდან მივიღეთ თამაშის კულტურა.

როდესაც მსაჯის წამატებულ წუთებში სილვენმა (ვილტორდმა) გაათანაბრა, მივხვდი, რომ ჩვენ მოვიგებდით. მეტი ვეღარაფერი შეგვემთხვეოდა — იმ საღამოს ჩვენ ვაჩვენეთ ის რაღაც, რითაც სხვა გუნდებს ვჯობდით. ალბათ გახსოვთ კადრი — მე, მარსელი, ლიზა (ლიზარაზუ), ლილიანი, რობერი და სხვები ბალახზე რომ ვსხედვართ და არ გავდივართ. იცით, რატომ? ერთმანეთთან დაშორება არ გვინდოდა.

მოამზადა
პაპუნა კედია

სარგებელი ტოტალიზატორ

წარმოგიდგენთ

ტოტოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა. I ტური						
		16 აგვისტო						
16.00	001	ბირმინგემი-ტოტენჰემი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
16.30	002	პორტსმუთი-ასტონ ვილა	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	003	არსენალი-ევერტონი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	004	არსენალი-ევერტონი 0:1	1,9	3,2	2,7			
19.00	005	ბლეკბერნი-ფულჰემპტონი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	006	ფულემი-მიდლსბრო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	007	ლესტერი-საუთჰემპტონი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	008	მანჩესტერი-ბოლტონი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	009	მანჩესტერი-ბოლტონი 0:1	1,65	3,3	3,3			
		17 აგვისტო						
18.00	010	ლიდსი-ნიუკასლი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
18.00	011	ჩარლტონი-სიტი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
20.05	012	ლივერპული-ჩელსი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
		ინგლისი. I დივიზიონი. II ტური						
		16 აგვისტო						
19.00	013	კარდიფი-ბრედფორდი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	014	ქოვენთრი-უოლსოლი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
19.00	015	ქრიუ-იფსვიჩი	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
19.00	016	კრისტალ პალასი-უოტფორდი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
19.00	017	ჯილინგემი-დერბი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	018	ნორვიჩი-როტერჰემი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	019	რედინგი-ნოტინგემი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
19.00	020	სტოკი-უიმბლდონი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	021	სანდერლენდი-მილუოლი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
19.00	022	ვესტ ჰემი-შეფილდი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	023	უიგანი-პრესტონი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
21.35	024	ვესტ ბრომვიჩი-ბარნლი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
		ინგლისი. II დივიზიონი. II ტური						
		15 აგვისტო						
23.45	028	კოლჩესტერი-სუინდონი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		16 აგვისტო						
19.00	029	ბლეკპული-უიკომბი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
19.00	030	ბორნმუთი-ბარნსლი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	031	ბრენტფორდი-პიტერბრო	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	032	ჩესტერფილდი-ბრისტოლი	3,0	3,2	2,25	1,54	1,28	1,32
19.00	033	გრიმსბი-პორტ ვეილი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	034	ჰარტლპული-ტრანმერი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
19.00	035	ნოტსი-რექსემი	2,2	3,2	3,1	1,3	1,28	1,57
19.00	036	რაშდენი-პლიმუთი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
19.00	037	უენსდი-ოლდემი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
19.00	038	სტოკპორტი-ლუტონი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 აგვისტო						
24.00	039	ბრაიტონი-ქუინზ პარკი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		ინგლისი. III დივიზიონი. II ტური						
		16 აგვისტო						
19.00	043	ბოსტონი-ჰადერსფილდი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
19.00	044	როვერსი-როჩდეილი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
19.00	045	ბერი-სკანთორპი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
19.00	046	კემბრიჯი-მაკლსფილდი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
19.00	047	ჩელტენემი-სუონსი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
19.00	048	დარლინგტონი-კიდერმინსტერი	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
19.00	049	დონკასტერი-საუთენდი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
19.00	050	მენსფილდი-ლეიტონი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
19.00	051	ოქსფორდი-ჰალი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
19.00	052	ტორკი-ლინკოლნი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
19.00	053	იოვილი-კარლაილი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.00	054	იორკი-ნორთჰემპტონი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
		შოტლანდია. პრემიერლიგა. II ტური						
		16 აგვისტო						
16.30	086	აბერდინი-რეინჯერსი	9,0	4,6	1,3	3,04	1,13	1,01
17.00	087	სელტიკი-დანდი იუნაიტედი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
	088	სელტიკი-დანდი იუნაიტედი 0:11,4		3,8	4,2			
19.00	089	კილმარნოკი-პარტიკი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
19.00	090	ლივინგსტონი-მოზერუელი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		17 აგვისტო						
19.00	091	დანდი-დანფერმლაინი	2,05	3,2	3,4	1,24	1,27	1,64
19.00	092	ჰიბერნიანი-ჰართსი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
		შოტლანდია						
		I დივიზიონი. II ტური						
		16 აგვისტო						
19.00	093	ეარი-ფოლკირკი	3,2	3,5	2,0	1,67	1,23	1,27
19.00	094	ბრეჩინი-რეითი	2,4	3,4	2,5	1,4	1,22	1,44
19.00	095	ინვერნესი-კლაიდი	2,3	3,5	2,6	1,38	1,22	1,49
19.00	096	ქუინი-როსი	2,45	3,5	2,4	1,44	1,21	1,42
19.00	097	სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი	2,6	3,5	2,3	1,49	1,22	1,38
		შოტლანდია. II დივიზიონი. II ტური						
		16 აგვისტო						
19.00	100	ერდრი-ალოა	1,8	3,6	3,5	1,19	1,18	1,77
19.00	101	ბერიკი-ჰამილტონი	2,4	3,4	2,5	1,4	1,22	1,44
19.00	102	დამბარტონი-არბროთი	2,4	3,4	2,5	1,4	1,22	1,44
19.00	103	ფორფარი-ისტ ფაიფი	1,65	3,8	4,4	1,15	1,2	2,03
19.00	104	სტენჰაუზმური-მორტონი	2,7	3,5	2,25	1,52	1,22	1,36

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
შოტლანდია. III დივიზიონი. II ტური								
16 აგვისტო								
19.00	107	ქოუდენბითი-ალბიონი	2,4	3,4	2,5	1,4	1,22	1,44
19.00	108	ისტ სტირლინგი-მონტროუზი	2,9	3,6	2,1	1,6	1,21	1,32
19.00	109	პიტერჰედი-გრეტნა	1,85	3,6	3,4	1,22	1,19	1,74
19.00	110	ჭუინზ პარკი-ელგინი	2,1	3,6	2,9	1,32	1,21	1,6
19.00	111	სტრანრარი-სტირლინგი	2,1	3,5	3,0	1,31	1,23	1,61
გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური								
16 აგვისტო								
18.30	114	კაიზერსლაუტერნი-ვერდერი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
18.30	115	მიონხენგლადბახი-შტუტგარტი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
18.30	116	ჰერტა-ფრაიბურგი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
18.30	117	ჰანზა-აინტრახტი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	118	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.30	119	ბაიერნი-ბოხუმი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	120	ბაიერნი-ბოხუმი	1,65	3,3	3,3	1,1	1,1	1,65
18.30	121	დორტმუნდი-მიუნხენი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
17 აგვისტო								
20.30	122	შალკე-კიოლნი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
20.30	123	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
გერმანია. II ბუნდესლიგა. III ტური								
15 აგვისტო								
22.00	126	აუე-უნიონი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
22.00	127	კარლსრუე-ობერჰაუზენი	2,0	3,2	3,5	1,23	1,27	1,67
22.00	128	ლიუბეკი-უნტერჰახინგი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
17 აგვისტო								
18.00	129	დუისბურგი-რეგენსბურგი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.00	130	ბურგჰაუზენი-ოსნაბრიუკი	1,95	3,2	3,6	1,21	1,26	1,69
18.00	131	კოტბუსი-ალემანია	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	132	არმინია-ალენი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
18.00	133	ფიურტი-ტრირი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18 აგვისტო								
23.15	134	მაინცი-ნიურნბერგი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). III ტური								
15 აგვისტო								
22.00	138	ბრაუნშვაიგი-ჰამბურგი(მ)	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
16 აგვისტო								
17.00	139	ურდინგენი-კილი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
17.00	140	მიუნსტერი-დორტმუნდი(მ)	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
17.00	141	ვერდერი(მ)-ქემნიცი	2,0	3,3	3,4	1,24	1,25	1,67
17.00	142	კიოლნი(მ)-პადერბორნი	2,7	3,3	2,35	1,48	1,25	1,37
17.00	143	ლაიპციგი-შალკე(მ)	2,15	3,4	3,0	1,31	1,25	1,59
17.00	144	ვატენშაიდი-ვუპერტალი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
17.00	145	ნოიმიუნსტერი-ესენი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
17 აგვისტო								
17.00	146	ზტ.პაული-დინამო	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). III ტური								
15 აგვისტო								
22.00	152	ელვერსბერგი-ფულენდორფი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
22.00	153	ფოიხტი-აალენი	2,2	3,3	3,1	1,32	1,28	1,59
22.30	154	ოფენბახი-მაინცი(მ)	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
16 აგვისტო								
17.30	155	ეშბორნი-შტუტგარტი(მ)	1,95	3,4	3,3	1,23	1,22	1,67
17.30	156	აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
17.30	157	კიკერსი-ერფურტი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
17 აგვისტო								
18.00	158	ზიგენი-შვაინფურტი	1,95	3,4	3,4	1,23	1,23	1,7
18.00	159	ბაიერნი(მ)-ზაარბრიუკენი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
18.00	160	კაიზერსლაუტერნი(მ)-ვეენი	2,2	3,3	3,0	1,32	1,26	1,57
საფრანგეთი. I დივიზიონი. III ტური								
16 აგვისტო								
20.15	164	ოსერი-სტრასბური	1,7	3,2	5,0	1,11	1,26	1,95
23.00	165	გენგამი-ბორდო	2,45	3,0	2,8	1,34	1,3	1,44
23.00	166	ლე მანი-ნიცა	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
23.00	167	მეცი-პსჟ	2,7	2,8	2,7	1,37	1,35	1,37
23.00	168	მონაკო-ბასტია	1,55	3,5	6,0	1,07	1,23	2,21
23.00	169	მონპელიე-ლიონი	2,9	2,9	2,45	1,45	1,32	1,32
23.00	170	სოშო-რენი	1,7	3,3	4,8	1,12	1,25	1,95
23.00	171	ტულუზი-ლილი	2,35	2,9	3,1	1,29	1,33	1,49
23.00	172	აიაჩო-ნანტი	2,35	3,0	3,0	1,31	1,31	1,5
17 აგვისტო								
23.45	173	ლანსი-მარსელი	2,5	2,9	2,8	1,34	1,32	1,42
საფრანგეთი. II დივიზიონი. III ტური								
15 აგვისტო								
21.30	177	სტ.ეტიენი-ლორიანი	2,35	2,8	3,2	1,27	1,35	1,49
16 აგვისტო								
23.00	178	ანუე-სედანი	2,8	2,8	2,6	1,4	1,34	1,34
23.00	179	შატორუ-ნანსი	1,8	3,0	4,6	1,12	1,29	1,81
23.00	180	კლერმონი-ტრუა	2,6	2,8	2,8	1,34	1,34	1,4
23.00	181	გრენობლი-რუანი	1,8	2,9	4,8	1,11	1,3	1,8
23.00	182	გენიონი-ამიენი	2,15	2,8	3,6	1,21	1,34	1,57
23.00	183	ისტრი-კაენი	2,25	2,8	3,4	1,24	1,35	1,53
23.00	184	ლავალი-ბეზანსონი	1,7	3,1	5,3	1,09	1,28	1,95
23.00	185	ლე ავრი-კრეტეი	1,6	3,3	6,0	1,07	1,26	2,12
23.00	186	ნიორი-ვალანსი	1,9	2,9	4,4	1,14	1,32	1,74
პორტუგალია. სუპერლიგა. I ტური								
15 აგვისტო								
00.30	190	ბელენენსეში-ამადორა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
16 აგვისტო								
23.45	191	აკადემიკა-სპორტინგი	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
17 აგვისტო								
20.00	192	მარიტიმუ-ბეირა მარი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
20.00	193	მორეირენსე-რიუ ავე	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
20.00	194	ნასიონალი-ფერეირა	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
21.00	195	ჟილ ვისენტე-ალვერკა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
23.15	196	ბოავიშტა-ბენფიკა	2,7	3,2	2,4	1,46	1,27	1,37
01.00	197	პორტუ-ბრაგა	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	198	პორტუ-ბრაგა 0:1	1,65	3,3	3,3			
18 აგვისტო								
00.30	199	გიმარაეში-ლეირია	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
პორტუგალია. II ლიგა. I ტური								
17 აგვისტო								
20.00	202	მარკუ-პენაფიელი	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
20.00	203	სეტუბალი-პორტიმონენსე	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
20.00	204	მაია-ფეირენსე	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
20.00	205	ლეიშოეში-შავეში	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
20.00	206	ეშტორილი-კოვილია	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49
20.00	207	სანტა კლარა-მადეირა	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
20.00	208	ავეში-ნაკალი	2,3	3,0	3,1	1,3	1,32	1,52
20.00	209	ოვარენსე-ვარზიმი	2,6	3,0	2,6	1,39	1,3	1,39
20.00	210	ფელგეირაში-სალგეირუში	2,7	2,9	2,6	1,39	1,32	1,37

ეროვნული ბიბლიოთეკა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოლანდია						
		I დივიზიონი. I ტური						
		15 აგვისტო						
23.00	211	როდა-პსვ	3,8	3,4	1,8	1,79	1,22	1,17
		16 აგვისტო						
22.30	212	ტილბურგი-ალკმაარი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
23.00	213	ტვენტე-როზენდალი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
23.00	214	ვალვაიკი-დენ ჰააგი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		17 აგვისტო						
17.30	215	ვიტესი-აიაქსი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
17.30	216	ფეიენოორდი-ნაიმეგენი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	217	ფეიენოორდი-ნაიმეგენი 0:1	1,9	3,2	2,7			
17.30	218	ვოლენდამი-პერენვენი	3,6	3,4	1,85	1,74	1,22	1,19
17.30	219	უტრეხტი-ზვოლე	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
17.30	220	გრონინგენი-ბრედა	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
		ბელგია. I დივიზიონი. II ტური						
		16 აგვისტო						
21.00	235	გენტი-ანდერლეხტი	3,4	3,4	1,95	1,7	1,23	1,23
23.00	236	ანტვერპენი-ვესტერლო	1,95	3,4	3,4	1,23	1,23	1,7
23.00	237	ბეევერენი-სტ.ტრუიდენი	2,45	3,4	2,45	1,42	1,22	1,42
23.00	238	გენკი-შარლერუა	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
	239	გენკი-შარლერუა 0:1	1,75	3,2	3,0			
23.00	239	ლუვიე-ჰეუსდენი	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
		17 აგვისტო						
18.00	240	მონსი-მუსკრონი	2,2	3,5	2,8	1,35	1,23	1,55
18.00	241	სერკლი-ბრიუგე	7,5	4,0	1,4	2,6	1,17	1,03
23.00	242	სტანდარდი-ლოკერენი	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
		18 აგვისტო						
23.00	243	ლიერსი-ბეერსხოტი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		ავსტრია. ბუნდესლიგა. V ტური						
		16 აგვისტო						
22.00	259	პაშინგი-შტურმი	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
22.30	260	ადმირა-ზალცბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
22.30	261	მატერსბურგი-ბრეგენცი	1,85	3,3	3,8	1,18	1,24	1,76
		17 აგვისტო						
18.30	262	რაპიდი-ᲐᲣსტრია	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.30	263	გრაცერი-კერნტენი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
		შვეიცარია. სუპერლიგა. VI ტური						
		16 აგვისტო						
22.30	273	სერვეტი-სტ.გალენი	1,55	3,6	5,6	1,08	1,21	2,19
22.30	274	თუნი-ბაზელი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
22.30	275	ვილი-ქსამაქსი	2,5	3,3	2,45	1,42	1,23	1,4
		17 აგვისტო						
19.15	276	გრასჰოპერი-ციურიხი	1,6	3,5	5,3	1,09	1,22	2,1
19.15	277	აარაუ-იანგ ბოიზი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
		დანია.						
		სუპერლიგა. IV ტური						
		16 აგვისტო						
20.00	291	ორჰუსი-მიდტიულანდი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		17 აგვისტო						
18.00	292	აკადემისკი-ესბიერგი	2,8	3,3	2,3	1,51	1,26	1,35
18.00	293	ოდენსე-ოლბორგი	1,8	3,3	4,0	1,16	1,24	1,8
18.00	294	ფრემი-ჰერფიოლგე	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
18.00	295	ვიბორგი-ბრიონდბიუ	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
20.35	296	კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი						
		ალსვენსკა. XVIII ტური						
		16 აგვისტო						
19.00	314	ენკიოპინგი-ჰალმსტადი	3,8	3,3	1,85	1,76	1,24	1,18
19.00	315	სუნდსვალი-ელფსბორგი	2,3	3,3	2,8	1,35	1,26	1,51
19.00	316	ლანდსკრონა-იორგრიტე	2,4	3,3	2,6	1,38	1,24	1,45
		17 აგვისტო						
20.00	317	აიკ-იოსტერი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
	318	აიკ-იოსტერი 0:1	1,95	3,2	2,6			
20.00	318	მალმიო-ჰამარბი	2,05	3,3	3,3	1,26	1,26	1,65
20.00	319	იორებრო-ჰელსინგბორგი	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
		ნორვეგია. ტიპელიგა. XVII ტური						
		15 აგვისტო						
23.00	343	ბოდიო გლიმტი-სტაბეკი	2,05	3,5	3,2	1,29	1,24	1,67
		16 აგვისტო						
19.00	344	ლილესტრიომი-ბრინი	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
19.00	345	ოდ გრენლანდი-ტრომსიო	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
19.00	346	სოგნდალი-ვოლერენგა	1,65	3,6	4,6	1,13	1,21	2,01
19.00	347	ვიკინგი-ბრანი	1,85	3,4	3,6	1,19	1,22	1,74
19.00	348	ალესუნდი-რუსენბორგი	5,6	4,0	1,5	2,33	1,18	1,09
		17 აგვისტო						
21.00	349	ლინი-მოლდე	2,3	3,4	2,7	1,37	1,24	1,5
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XVI ტური						
		16 აგვისტო						
19.00	366	ტამპერე-პიკ	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	367	ჰაამეენლინა-ტურკუ	2,15	3,3	3,1	1,3	1,26	1,59
		17 აგვისტო						
20.30	368	იარო-ჰაკა	4,2	3,4	1,75	1,87	1,23	1,15
20.30	369	კუოპიო-კტპ	1,8	3,4	3,8	1,17	1,22	1,79
20.30	370	მიუპა-იოკერიტი	1,5	3,8	6,0	1,07	1,2	2,32
20.30	371	ალიანსი-ჯაზი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
	372	ალიანსი-ჯაზი 0:1	2,05	3,2	2,45			
		ისლანდია						
		პრემიერ დივიზიონი. XIV ტური						
		14 აგვისტო						
00.15	375	ვალური-რეიკიავიკი	4,4	3,3	1,75	1,88	1,25	1,14
		ირლანდია						
		პრემიერლიგა. გადადებული მატჩი						
		15 აგვისტო						
23.45	382	კორკი-შემროკი	1,95	3,0	4,0	1,18	1,31	1,71
		თურქეთი. სუპერლიგა. II ტური						
		15 აგვისტო						
22.00	384	ტრაბზონი-ფენერბაჰჩე	2,45	3,3	2,5	1,4	1,23	1,42
		16 აგვისტო						
19.00	385	ისთანბული-ადანა	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
21.00	386	ანკარა-სამსუნი	1,65	3,5	4,8	1,12	1,22	2,02
21.00	387	ბეშიქთაში-ბურსა	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
	388	ბეშიქთაში-ბურსა 0:1	1,5	3,6	3,6			
21.00	389	დენიზლი-რიზე	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
		17 აგვისტო						
19.00	390	ელაზიგი-კონია	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
21.00	391	გაზიანთეფი-გალათასარაი	3,2	3,3	2,1	1,62	1,26	1,28
21.00	392	მალათია-სებათი	1,45	4,0	6,5	1,06	1,18	2,47
	393	მალათია-სებათი 0:1	2,05	3,2	2,45			
21.00	394	დიარბაქირ-გენჩლერბირლიგი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38

პრეზიდენტი



პატარკაციშვილმა კალათბურთიც ჩაიბარა

ბადრი პატარკაციშვილმა ბოლოს და ბოლოს გადაიბარა საკალათბურთო კლუბ „დინამოს" საქმეები. ერთი დღით ადრე პატარკაციშვილი საფეხბურთო „დინამოს" ოფიციალურ პრეზიდენტად გამოცხადდა, გუშინ კი ფეხბურთელთა „ბიძაშვილ" კალათბურთელებსაც ჩაუდგა სათავეში. „დინამოს" პატრონი და მფლობელი მანამდე გუნდის სპონსორად მოიხსენიებოდა

ძნელი სათქმელია, ბადრი პატარკაციშვილს „დინამოს" პრეზიდენტის პოსტზე კონკრეტულად რა დატვირთვები ექნება, თუმცა ის კი უნდა ითქვას, რომ მის „მოსვლას" „დაემთხვა" მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები — საკალათბურთო „დინამოს" აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა 80-ანი წლების „დინამოს" ყოფილი მოთამაშე, 1981-82 წლებში გუნდის დუბლშემადგენლობის წევრი კახა ნუცუბიძე. აქამდე კახა ნუცუბიძე კალათბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი იყო და ერთი ხანობა, ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავჯდომარე.

უხეშად რომ ითქვას, ნუცუბიძე მეორე კაცი იქნება კლუბში და სავარაუდოდ, ფაქტობრივად წარმართავს „დინამოს" საქმეებს, რაღა თქმა უნდა, პრეზიდენტ პატარკაციშვილთან შეთანხმებით.

„დინამოში" იგეგმება სხვა ფართომასშტაბიანი საკადრო ცვლილებებიც. გადაწყვეტილია, რომ კლუბში დარჩება ძველი მმართველი ბაჩო სხიერელი, მხოლოდ ჯერ გაურკვეველია, რა თანამდებობას დაიჭერს იგი. უცნობია, დარჩება თუ არა კლუბში „დინამოს" ყოფილი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი და თუ დარჩება, რა ფუნქციებით დაიტვირთება. შეგახსენებთ, რომ მოსეშვილი ხორვატ სპეციალისტ დრაჟენ ბრაიკოვიჩის მოსვლამდე, გასული სეზონის შუამდე წვრთნიდა „დინამოს".

ამგვარად, „დინამო" რამდენიმე თვეში ძირფესვიანად შეიცვალა. ცვლილებები ჯერ მწვრთნელთა შტაბს შეეხო. როგორც აღვნიშნეთ, ლევან მოსეშვილის ნაცვლად გუნდი დრაჟენ ბრაიკოვიჩმა და საქართველოში საკმაოდ წარმატებულმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ჩაიბარეს და „დინამო" 11-წლიანი ლოდინის შემდეგ აჩემპიონეს.

სეზონის შემდეგ ბრაიკოვიჩმა ჩემპიონი შემადგენლობის ხუთი მეექვსედი დაითხოვა (სულ სამი კაცი დატოვა — ირაკლი ხოშტარია, ვლადიმერ ბეჟანიშვილი და ვახტანგ მინაშვილი) და რამდენიმე მოთამაშე შეხედულებისამებრ შეარჩია სხვა ქართული კლუბებიდან.

ახლა კი მე-12 ეროვნულის ჩემპიონ გუნდში ხელმძღვანელთა შტაბიც გადახალისდა.

ყველასთვის ცნობილია, რომ „დინამო" ქართულ საკალათბურთო სივრცეში ყველაზე შეძლებული კლუბია და ამბიციაც შესაბამისი აქვს. არც მალავდა ამბიციას და სხვა დონეზე თამაშის, ევროპაში სიტყვის თქმის სურვილს. საევროპო გუნდად ჩამოსაყალიბებლად რეფორმები, თანაც ყველა რგოლსა და სტრუქტურაში, აუცილებელი იყო. თავადაც ხედავთ, ეს რეფორმები დროულად განხორციელდა კიდეც.

მაგრამ ბათუმის „ბასკოს" შესუსტების შემდეგ საქართველოში დარჩენილ ერთადერთ „ძლიერ" გუნდს აკლია მნიშვნელოვანი რამ — ძლიერი შემადგენლობა. ჯერჯერობით „დინამოში" ირიცხება 7-8 ქართველი კალათბურთელი, რომლებიც ქართულ სინამდვილეში ძლიერ, ანაც პერსპექტიულ მოთამაშეებად ითვლებიან და ბრაიკოვიჩის მეთაურობით იქნებ მოახერხონ მე-13 ეროვნულ ჩემპიონატში ტიტულის შენარჩუნება, მაგრამ ევროპაში, საითკენაც „დინამო" იმზირება, ამ ბიჭებით გაჭირდება შორს გაფრენა.

მომავლის „დინამოში", ცხადია, ლეგიონერებიც მოიაზრებიან. სხვათა შორის, დრაჟენ ბრაიკოვიჩი რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ხორვატიიდან, სადაც, ასე ვთქვათ, საქმიან შვებულებაში იმყოფებოდა. მან წასვლის წინ დაიბარა, რამდენიმე ძლიერ ევროპელ ლეგიონერს ჩამოვიყვანო, მაგრამ იგი მარტო დაბრუნდა. შესაძლოა, ხორვატმა სპეციალისტმა უკვე შეიგულა კიდეც ვინმე, მაგრამ ვინ? შეპირებული მითიური ევროვარსკვლავები ჯერ არა ჩანან.

ირაკლი ფირაყვილი

ოცნებისთვის სცხელა?

ჯარლ მელოუნს დედა გარდაეცვალა

„დრიმ თიმს" კიდევ ერთი ვარსკვლავი მოსწყდა. ოფიციალური ცნობით ფეხმტკივანი კობი ბრაიანტის — სინამდვილეში ფეხი არაფერ შუაშია — ნაცვლად ამერიკის ნაკრებში მართლა ფეხმტკივანი ვინს კარტერი — ის ყინულებით ვარჯიშობს — ჩაირიცხა. ახლა კი „ოცნების გუნდს" ოდესღაც შეკრებილი პირველი და ნაღდი „ოცნების გუნდის" წევრი კარლ მელოუნი დააკლდა.

მელოუნს დედა გარდაეცვალა და ნაკრების ყველაზე ბებრეკი, 40 წლის მოთამაშე გაურკვეველი ვადით დაეთხოვა ნაკრების მწვრთნელ ლარი ბრაუნს.

კარლ მელოუნის განსვენებული დედა შერლი მელოუნი, რომლის ასაკსაც ოკეანგალმიდან არ იტყობინებიან, საზოგადოდ, არ ავადმყოფობდა და სავარაუდოდ მოულოდნელი გულის შეტევით გარდაიცვალა არკანზასის შტატში, შვილის მიერ ნაყიდ კარმიდამოში.

უცნობია ისიც, რამდენკაციან ქელეხს გაშლის მელოუნი და რამდენი დღის შემდეგ მობრუნდება „დრიმ თიმში".

ამერიკის ნაკრები 20 აგვისტოს იწყებს 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირს პუერტო რიკოს დედაქალაქ სან ხუანში.

ქალმა ქალი?!

ლატაშა ბაიერსმა თანაგუნდელი მიანატაშა

ქალთა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის (WNBA) მოთამაშეს, ლატაშა ბაიერსს, ვისაც „ლოს ანჯელეს სპარკსთან" ერთად ლიგა ორჯერ მოუგია, თანაგუნდელ გოგონაზე სექსუალური ძალადობა ბრალდება.

ერთ-ერთი ლოსანჯელესური ტელევიზიის მიხედვით, ბაიერსმა და მავანმა სამმა ხვადმა, რომელთაც საკალათბურთო გუნდთან საერთო არაფერი აქვთ, მსხვერპლი 5 ივნისს, „სტეიპლზ სენტერში" „საკრამენტო მონარქზთან" მატჩის შემდგომ გამართულ ლხინზე გააუპატიურეს.

დაპატიმრებით ჯერ არავინ დაუპატიმრებიათ, მაგრამ საგრაფოს გენერალური პროკურორი ამბობს, რომ გამოძიებას ბაიერსის გარდა ეჭვი კიდევ რამდენსამე ქალ და კაც კალათბურთელზეც ეპარება.

„სპარკსის" მამები კი გამოძიების დასრულებას, ცხადია, ვერ დაელოდებოდნენ. თანაგუნდელ გოგოს გაუპატიურებაში ეჭვმიტანილი ლატაშა მათ უკვე ინციდენტიდან 5 დღეში დაითხოვეს.

ეს ლატაშა ახლა 30 წლისაა და „სპარკსში" 2000 წელს, საკრამენტში გატარებული ოთხი სეზონის შემდეგ გადავიდა.

ამ უკანასკნელ წლებში ის ხშირად აღმოჩენილა სკანდალურ ქრონიკებში — შარშან მანქანის შლეგიანი თარეშისათვის ერთი თამაშით დისკვალიფიკაციაც კი მიუსაჯეს, ხოლო მოგვიანებით მეტოქეს სახეში ბურთი მიახალა და ორი თამაშით მოიკვეთა.

თავის თავს ის ლიგის უჭულიგნეს მოთამაშეს უწოდებს და ეს — თუნდაც ზემოთმოხმობილი მაგალითების იანახმად — მართალიაა, მაგრამ ის იმავდროულად რიგიანი მოთამაშეცაა — თამაშიდან ზუსტად სროლის პროცენტულობით ყველა დროის ჩამონათვალში მერვე ადგილზეა. მომხსნელთა შორის კი ზეათეულში შედის.

ამიერიდან ის ვინძლო პირველი ქალი სპორტსმენიც გახდეს, ვინაც ძალადობის ყურადღების ცენტრში თანაგუნდელი გოგოს გაუპატიურებისთვის მოექცა.

ისე — ვინ იცის — იქნებ გამოძიებამ ეს ამბავი საბოლოოდ არ დაადასტუროს და რეკორდიც არ შედგეს...

თუკი ვინმემ ანალოგიური შეშმოხვევა იცის, გთხოვთ, დაგვირეკოთ ან უკიდურეს შემთხვევაში მოგვწეროთ. წყარო აუცილებლად მითითებული უნდა იქნას.

რაც კობი ბრაიანტს ფეხი გადაუბრუნდა და ერთი მოხერხებული სოფლელი გოგოს გაუპატიურებაში დაედო ბრალი, ამერიკული პრესა-ტელევიზია დღითაც არ დამცხრალა. თანაც შეცდენილ ვარსკვლავზე ერთიანად უარყოფითი და პესიმისტური ცნობები ვრცელდებოდა. ბევრმა საინფორმაციო საშუალებამ მონანიე კალათბურთელი ლამის სამუდამოდაც „ჩასვა" გისოსებში — თუ ბრალდება დაუმტკიცდა, სამუდამო ციხე ელისო. ახლა კი როცა პრესამ ვარსკვლავბიჭუნას მიმართ „სიძულვილი ამოიწურა", კობის მრავალათასიანი არმიის გასახარად გაჩნდა ოპტიმისტური ცნობებიც

კობის პროცესს გადაუდებენ?

სასამართლოს ხლართებში გახვეულ ბრაიანტს ძველი ომახიანი განცხადებით, მოსმენებზე წანწალით მინიმუმ სეზონი მაინც უნდა გაეცდინა, ახლა კი წერენ, რომ არსებობს პროცესის მომავალი წლის ივნისისთვის გადავადების ალბათობა. ივნისში პლეი ოფები მთავრდება, კობი და მისი „ლეიკერსი" კი ამ დროს შეიძლება ჩემპიონებიც გახდნენ და ბრაიანტიც „ხალისით" გამოცხადდება კოლორადოელი სოფლის იგლ ქანთრის სასამართლოში. ასევე პრესას გაახსენდა, რომ ანალოგიურ გრძელვადიანი გადავადებები ჩვეული მოვლენა ყოფილა ამერიკული სასამართლოს პრაქტიკაში. აგერ, საკრამენტოელ კრის ვებერსაც აკადეს სეზონის ჩამთავრება და მერე დაუძახეს სასამართლოში, სადაც წარსულში მისი ფინანსური თაღლითობების საქმეები ირჩეოდა.

კობი ბრაიანტის პროცესის გადავადების ალბათობა რომ არსებობს, ეს ჯერ მხოლოდ მედიის ვერსიაა. სინამდვილეში, ბრაიანტი ვალდებულია 9 ოქტომბერს გამოცხადდეს ზემოხსენებული იგლ ქანთრის სასამართლოში და შემდეგაც რეგულარულად მოუწევს მთიან კოლორადოში პროცესებზე სიარული.

ბრაიანტის ჩემპიონობადაკარგული, თუმც ამ ორიოდ თვეში არნახულად გაძლიერებული „ლეიკერსი" კი სეზონისწინა საწვრთნელი ბანაკის დაცემას 9 ოქტომბრამდე ღლით ადრე გეგმავს და, რაღა თქმა უნდა, კლუბის ბოსებს არ აღაფრთოვანებდათ ჯერ ვარჯიშის და შემდეგ სეზონის დაწყება გუნდის ლიდერის გარეშე.

კოტე ყორღია



კობი ბრაიანტს სასამართლოსგან დროებით თავის დახსნის შანსი მოუძებნეს

სამოთრაკიელი გამარჯვების ქალღმერთი

ლუვრში გამოფენილ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშთაგან გამორჩეული ქმნილებები თვალსაჩინო ადგილებზეა ექსპონირებული. ამ გამორჩეულთაგან, ჩემი აზრით, ყველაზე გამორჩეული ადგილი ვენება „სამოთრაკიელ ნიკეს“ აქვს მიჩენილი. იგი შორიდანვე ჩანს და მასთან შესახვედრად ცადატყორცნილ თაღებქვეშ გრძელი და ფართო საფეხურებიდ ადიხართ. და რაც უფრო უახლოვდებით გამარჯვების ქალღმერთს, მით უფრო საზეიმო განწყობილება გეუფლებათ.

უწინარეს ყოვლისა საზეიმოა თავად ნიკე, რომელიც გამარჯვებული დაბრუნებულა, ციდან დაშვებულა და ეს-ესაა ზღვის სანაპიროს კლდის ქიმს ფეხებით შეხებია.

ეს კოლოსალური ფიგურა გალერის კიჩოსთვის იყო განკუთვნილი. იგი თავდაპირველად მარმარილოს ბლოკზე იდგა, რომელიც ხომალდზე იყო დამაგრებული.

ხელოვნებათმცოდნენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ „სამოთრაკიელი ნიკე“ საზღვაო ბრძოლაში გამარჯვების სიმბოლოდ შეიქმნაო.

ვუყურებთ ამ გამარჯვების ქალღმერთს და თითქოს ვხედავთ, თუ როგორ სცემს მას სახეში ზღვიდან მონაბერი ქარი, რომელსაც „ვენერა მილოსელივით“ მშვენიერ სხეულზე მჭიდროდ მიკრული დასველებული სამოსი აუფრიალებია.

ვენერა მილოსელი აქ მხოლოდ ქალური მშვენიერების სიმბოლოდ და მასთან ამ მხრივ შესადარებლად არ გაგვხსენებია. მასთან პარალელი არც მათი პაროსის მარმარილოსგან გამოძერწვის გამო დაგვჭირვებია და არც იმისთვის, რომ ორივე XIX საუკუნეში იპოვეს და ორივე კუნძულებზე. ვენერა 1820 წელს კუნძულ მილოსზე ვიღაც გლეხმა შემთხვევით იპოვა, ხოლო გამარჯვების ქალღმერთი 1863 წელს კუნძულ სამოთრაკიაზე აღმოაჩინეს. ერთიცა და მეორეც უხელებოდ იპოვეს. და თუ სწავლულთ დღემდე ვერ დაუდგენიათ ვენერას ხელების მდგომარეობა, ნიკეზე პირიქით, ვარაუდობენ, რომ მას ცალ ხელში გამარჯვების სიმბოლო, გვირგვინი ეკავა, მეორეში კი ათენასავით მისი განუყრელი შუბი ეპყრა.

ოღონდაც, ნიკე არის არა მხოლოდ ბრძოლისა და გამარჯვების ღმერთქალი, არამედ ნებისმიერი შეჯიბრებისაც. ნიკე თავს დასტრიალებს პაექრობებს და სწყალობს ხელოვანთა შორის გამორჩეულს თუ სპორტულ ასპარეზობაში მონაწილე უძლიერეს ათლეტს.

ნიკეს კარგად იცნობდნენ ჩვენი უძველესი წინაპრებიც. ამაზე მეტყველებს ქართველ არქეოლოგთა მიერ ვანის გათხრებისას ნაპოვნი ნიკეს მშვენიერი ქანდაკება.

საერთოდ, სხვა ღვთაებათა შორის ნიკე ხელოვანთაგან ფრიად დაფასებულია. ხელოვნების ნიმუშთა სიმრავლით მას აპოლონის, აფროდიტეს, ჰერასა და კიდევ ერთიორი სხვა ღვთაების გარდა ვერავინ შეედრება.

ხელოვნებაში ნიკე წარმოდგენილია ახალგაზრდა, ფრთოსან ქალად (მხოლოდ ათენის აკროპოლისზე იყო უფრთო ნიკე და ალბათ მხოლოდ იმიტომ, რომ იქიდან არ გაფრენილიყო), რომელსაც გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი ამშვენებს. იგი ცაში დაფრინავს, ზოგჯერ ეტლითაც დაქრის, შეჯიბრების მონაწილეთ პაექრობისას თავს დასტრიალებს ან გამარჯვებულთ გვირგვინს ადგამს.

ლუვრში გამოფენილ ექსპონატებს შორის მრავლად შეხვდებით ნიკეს, რომელიც გამოუსახავთ ვაზებზე, ამფორებზე, ლარნაკებზე, ფერწერულ ტილოებზე. არის ნიკეს ქანდაკებებიც, მაგრამ მათ შორის უპირველესი „სამოთრაკიელი ნიკეა“.

ხელოვნებაში მრავალგზის ასახულ და ცნობილ ნიკეთაგან საუკეთესოდ ითვლება ათამდე გამარჯვების ქალღმერთის ქანდაკება, მათ შორის ვანში ნაპოვნი, მაგრამ გამორჩეულთა შორის გამორჩეული მაინც ორია: ერთი — მშვიდი და წყნარი, მეორე მოძრავი და მოუსვენარი. პირველი 260 სანტიმეტრი სიმაღლის პეონიოსის გვიანკლასიკური, ოლიმპიის მუზეუმშია ექსპონირებული, მეორე კი გახლავთ მასზე 25 სანტიმეტრით მაღალი, ოლიმპიელი ნიკეს უმცროსი ორეული, ლუვრში დაცული „სამოთრაკიელი ნიკე“. ერთიცა და მეორეც შედევრია.

ნიკეს თემატიკა მხოლოდ ანტიკური ხანის შემოქმედთ როდი ხიბლავდათ. მას ჩვენი თანამედროვენიც ხშირად მიმართავენ, განსაკუთრებით სპორტთან დაკავშირებით.

გავიხსენოთ ფრანგი მოქანდაკის აბელ ლაფლეს მიერ 1928 წელს ფეხბურთში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დამზადებული ნიკეს ოქროს ქანდაკება, რომელსაც შემდგომ ჟიულ რიმეს თასი ეწოდა.

ნიკეს ვხედავთ ურუგვაის მარკაზეც, რომელიც 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებში ამ ქვეყნის ფეხბურთელთა გამარჯვების ეფანიშნავად გამოვიდა. ნიკეს გამოსახული დიდი ბრიტანეთის მიერ გამოშვებული მარკების სერიაზეც, რომელიც 1938 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა.

ნიკეს თემატიკა საფოსტო მარკებს პირველად 1896 წელს დაუკავშირდა. მაშინ იგი ათენის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საბერძნეთის მარკაზე აისახა.

დღეს ნიკეს ვხედავთ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ლოგოზეც...

მაგრამ დავბრუნდეთ ლუვრში აღმართულ ნიკესთან, რომელიც ელინიზმის პლატისკური ხელოვნების ყველაზე სენსაციურ ნაპოვნ ქანდაკებად ითვლება.

წინათ ვარაუდობდნენ, რომ „სამოთრაკიელი ნიკე“ ძველი წელთაღრიცხვით IV-III საუკუნეებში გამოაქანდაკესო, ახალი ვერსიით კი მიუთითებენ ქრისტესშობამდე 190 წელს — იმ დროს, როცა როდოსელებმა ზედიზედ რამდენიმე გამარჯვება იზეიმეს ანტიოქ მესამეზე.

მკვლევარნი იმასაც აქცევენ ყურადღებას, რომ ნიკეს სამოსის ნაკეცები ბაროკოს სტილშია შესრულებული, რაც მისი გამოქანდაკების საკმაოდ ძველ პერიოდზე მიუთითებს.

ასეა თუ ისე, ხომალდის კიჩოზე აღმართულ სამოთრაკიელ ნიკეს ზღვის ქარი პირდაპირ სახეში სცემდა, კაბას უფრიალებდა და მასაც თანაქალაქელნი ბრძოლაში გამარჯვების რწმენით ამაყად მიჰყავდა.

მიუხედავად იმისა, რომ სამოთრაკიელი ნიკე უხელებოდ იპოვეს (მისი ცალი ხელი 1950 წელს აღმოაჩინეს), თავიც მომსხვრეული ჰქონდა და ფრთების მცირე ნაწილიც, ასეთ დღეში ჩავარდნილი გამარჯვების ქალღმერთი მაინც ხელოვნების სრულყოფილი ნიმუშია, იგი გამოირჩევა სიდიადითა და სინატიფით, სხეულის რიტმული მოძრაობითა და დინამიზმით.

ავთანდილ გურასაშვილი
პარიზი-თბილისი
ავტორის ფოტოები



გასტონ გაუჩომ ცინცინატიდან თვით მისი უპირველესობა ხუან კარლოსი გამოისროლა

გაუჩოები კოვბოებს ამერიკაში მიუსდნენ

ᲞᲝᲚᲝ ᲣᲜᲔᲡᲢᲠᲝᲓ ᲘᲞᲑᲘᲜᲔᲑᲐ

WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP MASTERS

ცინცინატი, მაგრამ საარბედ 2,45 მილიონი $

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

გასტონ გაუჩიო (არგენტინა) — **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) 6:7 (3:7), 7:6 (7:5), 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) 7:6 (7:4), 7:6 (7:5); **ბილირამ კორია** (6, არგენტინა) — **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) 6:0, 6:4 **კაფელნიკოვმა შეწყვიტა; ანდი როდიკი** (7, აშშ) — **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია) 6:1, 6:4; **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) — **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:4); **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ) — **სხენგ შალკენი** (11, პოლანდია) 6:1, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — **ფერნანდო გონსალესი** (13, ჩილე) 6:2, 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — **ქსავიე მალისი** (ბელგია) 7:5, 6:7 (5:7), 6:1; **ტოდ მარტინი** (აშშ) — **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — **უესლი მოოდი** (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:6 (7:4); **არნო კლეჟანი** (საფრანგეთი) — **გრეგ რუზედკი** (ბრიტანეთი) 7:6 (7:2), 5:7, 6:2; **როსი ფეინპარი** (აშშ) — **ნოამ ოკუნი** (ისრაელი) 7:6 (7:5), 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — **ტომას ენკვისტი** (შვედეთი) 7:6 (7:2), 6:4; **პიშამ არაზი** (მაროკო) — **პოლ-ანრი მათიო** (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) 6:7 (4:7), 6:4, 7:5; **ფლავიუ სარეტა** (ბრაზილია) — **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) 7:5, 6:3

განთესილ მეჩოგნეთა ლიანგური გაბუნძულება მესამე დღესაც გაგრძელდა. ამძუვნებულ ოჰაიოურ მზესა და გაჯიუტებულ მეტოქეებს ანდრე აგასის არყოფნაში ტურნირის ყოჩებად შეგულებულებმა — წლევანდელი უიმბლდონის გამარჯვებულმა როჯერ ფედერერმა და წლევანდელივე როლანგაროსობის პირველოსანმა ხუან კარლოს ფერერომაც ვერ გაუძლეს.

ზორბა ალპელი დამარცხებას პირველ წრეშიც წკიპზე გადაურჩა. არასტაბილურად და ძალზედ ოკრობოკროდ მოთამაშეს, მას ერთბაშად შვიდი მატჩბურთის მოგერიება მოუხდა ავსტრალიელ სკოტ დრეიპერთან.

მეორე წრეში კი ბადემ მას უფრო სერიოზული მეტოქე არგუნა. დავიდ ნალბანდიანს, ვინაც წინა კვირაში მონრეალურ მასტერსფინალს უწია, ფედერერისთვის აქამდე ნათამაშები სამი მატჩიც ჰალალად მოეგო და შვეიცარიელზე ჯაბანი არც ამ ჯერზე აღმოჩნდა.

ჩანს, მასთან თამაში უკვე ქრონიკულ პრობლემად მექცაო, აღიარებდა მერე ფედერერი და იმასაც ამბობდა — თუმცა დღეს ძალიან ბევრჯერ მივქარე, ამ მარცხისგან დრამის შექმნა მაინც არ ეგებისო.

ასევე არგენტინელისგან იძლია მაგარსაფართან ეგრეც ვერ გაჩვეული ხუან კარლოს ფერერო. ის ორი საათისა და 41 წუთის განმავლობაში ეომა გასტონ გაუდიოს და დაკვირვებული თვალი იოლად დაამჩნევდა — დროის გასვლასთან ერთად ფერეროს მოთმინებაცა და კონცენტრაციაც გაღმა გადიოდა. ხოლო რამდენჯერმე, როცა შეტოქის დომინირებამ საერთოდ მშვიდი და აუღელვებელი კოლობიჭი მწყობრიდან გამოიყვანა, ცინცინატის მოტიტკლებულ ზეცას მან სასოწარკვეთილად შეჰბღავლა კიდეც.

არადა, ეგებ გახსოვდეთ — წლეულს პარიზულ სეფეთიხნარზე გაპარპაშების შემდეგ ესპანელი იქადნიდა, რომ უმაღლეს დონეზე გარჯა მას ჩრდილოამერიკულ ჰარდკორტებზეც ძალუძს და რომ ამის დამტკიცებას ის ამ ზაფხულშივე ეცდება.

მაგრამ აგერ უკვე მეორე კვირაა, ფერერო ვერაფრით ახერხებს მისი რანგისთვის შესაფერ ეტაპამდე გასვლას — მონრეალში მესამე წრიდანვე დაითხოვეს, ცინცინატიში კი სულაც — მეორიდანვე.

შეძლებს ესპანური არმადის აწ უკვე ერთგზის სლემტიტულოსანი ადმირალი ნავსის გატეხვას და გახდება პირველი ესპანელი, ვინაც ფლეშინგ მედოუზის ჯადოკორტებს საჩემპიონოდ გაჯეგავს? მრავალი ვარაუდობს, რომ თუკი ამას განხორციელება უწერია, ეს — არა წლეულს.

თავად ფერერო კი იმედიანადაა და თვლის, რომ 25 აგვისტომდე, როცა აშშ-ის ღია პირველობა დაიწყება, ის კიდევ უფრო რიგიანად მომზადებასაც მოასწრებს...

ისე კი — ფედერერისა და ფერეროს ნაადრეი ჩაფლავება იმასაც ნიშნავს, რომ ამქრის 33 წლის უსტაბაში ანდრე აგასი რეიტინგსიის კენწეროში სულ მცირე ერთი კვირითაც უნდა დარჩეს. გრძნეული არმენომამერიკელისთვის ეს ამქრის პირველოსნობის მე-100 საკარიერო კვირა იქნება.

სხვაფრივ: ტურნირს ახლა მხოლოდ სამი განთესილიღა შერჩა. ესენი არგენტინელი გილერმო კორია (6), წინა კვირას მონრეალში გამარჯვებული ენდი როდიკი (7) და წლეულს არაჩვეულებრივად მოჩოგნავე გერმანელი რაინერ შუტლერი (8) გახლავან.

სათქმელია ისიც, რომ მერვედფინალში მოხვედრილი 16 მეჩოგნიდან ხუთი არგენტინელია, ხუთიც კიდევ ამერიკელი. თუკი მშობლიურ ნიადაგზე ამერიკელთა ჯგუფური გალაღება არგასაკვირი რამ არის, სამაგარსაფრო მასტერსტურნირზე ჯიშად მეთიხნარე გაუჩოთა ამგვარი ჩაუქი გარჯა — სხვისი არ ვიცი და — ჩვენ კი დასტურ სამთავარსათაურო ამბად გვესახება.

კიმ კლაისტერსი

ROGERS AT&T CUP

ტორონტო, მაგარსაფარი

საარბედ 1,3 მილიონი $

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲠᲔ

კიმ კლაისტერსი (1, ბელგია) — **ფრანჩესკა სკიავონე** (იტალია) 6:1, 6:2; **ჯუსტინ ენენარდენი** (2, ბელგია) — **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) 6:3, 6:3; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) 3:6, 6:1, 6:2; **დანიელა ჰანტუხოვა** (4, სლოვაკეთი) — **ჯილ კრეიბასი** (აშშ) 6:1, 6:2; **ანასტასია მისკინა** (5, რუსეთი) — **ნიკოლ პრატი** (ავსტრალია) 3:6, 7:6 (7:2), 6:4; **ელენა დემენტიევა** (9, რუსეთი) — **ანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) 6:1, 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (10, რუსეთი) — **მაშონა ვაშინგტონი** (აშშ) 6:1, 6:1; **ელენა ბოვინა** (12, რუსეთი) — **კარა ბლეკი** (ზიმბაბვე) 6:3, 6:2; **ნადია პეტროვა** (14, რუსეთი) — **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) 6:3, 4:6, 7:6 (7:3); **ფაბიოლა სულუაგა** (კოლუმბია) — **ნატალი დეში** (15, საფრანგეთი) 6:4, 7:5; **პაოლა სუარესი** (არგენტინა) — **მარი პირსი** (საფრანგეთი) 6:4, 7:5

განსხვავებით კაცთა კორტებისგან, საქალეთში ყველაფერი წესისა და რანგისამებრ ხდება — ნომრიანები იგებენ, უნომროები კი ტრიბუნებზე ინაცვლებენ. ამიტომ მოსაყოლი აქ ბევრი არც არაფერია და მხოლოდ იმის თქმა ხამს, რომ ამქრის ახალმა პირველოსანმა კიმ კლაისტერსმა რეიტინგსიის სათავეში შედგომის მერე თავისი პირველი მატჩი ერთობ დამაჯერებლად ჩაითამაშა. ჩანს, თუკი საქმეში ამელი მორესმო, უამრავ რუსგოგოდან რომელიმე, ანაც ფორსმაჟორული გარემოებანი არ ჩაერთვნენ — კვირის ბოლოს ბელგიური სუპერწყვილის მორიგ ფინალურ შეხლას ვიხილავთ.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ᲕᲐᲘ, ᲕᲐᲘ, ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘ

ᲑᲝᲠᲯᲦᲐᲚᲝᲡᲐᲜᲗᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲛ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲖᲝᲛᲐ

ხომ არ დაგვიწყებიათ? 2003 წელი მსოფლიოს თასის წელია, ოქტომბერში მსოფლიოს ყველა დიდ-პატარა სარაგბო ქვეყანა ავსტრალიაში იკრიბება. ოქტომბრამდე კი რალა დარჩა, ორიოდ კვირა და ეს დრო სამზადისისთვის გადაუდიათ მონაწილეთ

სხვებთან ერთად, რა გასაკვირია, და ემზადება ჯგუფურ ეტაპზე საქართველოსთვის ერთადერთი მისი კალიბრის მეტოქე ურუგვაი. ჩვენი სამხრეთამერიკელი მეტოქე შინ, მონტევიდეოში ფიჯის ფეხმარდ გუნდს მასპინძლობდა და აშკარად მასზე მძლავრ მოწინააღმდეგეს 3:24 დაუთმო.

სარაგბო კულტურაში და ოვალური ბურთის სიყვარულში ურუგვაი ფიჯისთან ახლოსაც ვერ მივა, თუმც კი თამაშში თავიდან კი ტოლად მოუვიდა. ურუგვაელები ინიციატივასაც ფლობდნენ, მაგრამ მას შემდეგ რაც მათმა მცველმა ხუან მენჩაკამ ზედიზედ ორი საჯარიმო გაიფუჭა, უპირატესობა კუნძულელებს გადაულოცეს. ფიჯიელთა დამრტყმელმა ნიკი ლითლმა ურუგვაელზე მეტი ფხა და სიზუსტე გამოავლინა, ჯერ საჯარიმო გაიტანა და შემდეგ ლელოც მიითვალა, რომელიც გარდასახა კიდეც. მარტო პირველ ტაიმში ლითლმა 10 ქულა მოიხვეჭა და ვინაიდან არც მისიანთაგან და არც მეტოქეთაგან ანგარიშში ჩასწერი არავის არა გაუკეთებია, ტაიმი 10:0 მორჩა.

ურუგვაიმ ვერც მეორე ტაიმში უშველა თავს. მომხდურებმა დამხვდურებს კიდევ ორი ლელო გაუტანეს და ლითლმა ორივე გარდასახა.

ურუგვაი სრული საბრძოლო რაზმით იბრძოდა. აი ბორჯღალოსანთა მომავალ მეტოქეთა შემადგენლობაც: 15 ხუან მენჩაკა, 14 ალფონსო კარდოსო, 13 დიეგო აგირე, 12 მარტინ მენდარო (ხოაკინ დე ფრეიტასი 77), 11 ემილიანო იბარა, 10 სებასტიან აგირე (ხუან ანსუეტა 52), 9 ემილიანო კაფერა

1 როდრიგო სანჩესი (ერნესტო ბერუტი 70), 2 დიეგო ლამელასი, 3 პაბლო ლემიონე, 4 ხუან ბადო, 5 როდრიგო კაპო, 6 ერნან პონტე (ნიკოლას ბრინონი 41), 7 ნიკოლას გრილე (ხუან ალვარესი 77), 8 მარსელო გუტიერესი (ხოაკინ პასტორი 52).



ფიჯელებმა სულ ოიოლად გაიოჭეს მარტინ მენდარო და მისი ურუგვაი

REUTERS მიხეილ ბოლოდიანი

ᲡᲣᲤᲗᲐ ᲰᲐᲔᲠᲖᲔ

ჰერბი ვაინი კიკ ბოქსინგის მწვრთნელია მონრეალში და მოწაფეებიც მრავლად ჰყავს.
ჰერბი ამბობს, რომ სუფთა ჰაერზე წიხლცრივობას არაფერი სჯობს და ამიტომ ხშირად ერეკება შეგირდებს ბუნების წიაღში, თუ პარკი ეშორათ, მონრეალის დაუნთაუნი ხელის გაწვდენაზეა და აქ ვარჯიში რომ მართლაც სხვა რამეა, შეგირდ ჰელინასაც ეტყობა.

REUTERS მონრეალიდან

ᲚᲐᲠᲘᲡᲣ ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲜᲣ ᲬᲐᲩᲣ

თუკი სადმე პლაჟზე ბურთი ავარდა, ბრაზილიელი გოგოებიც იქ არიან. სანტო დომინგოში პანამერიკული თამაშების პლაჟის ფრენბურთის გოგონა ჩემპიონები ბრაზილიელები შეიქნენ, რომლებმაც 21:06, 21:04 მოუგეს კანადელებს. ანა რიშა — ლარისა კოშტას წყვილი თამაშითაც და იერითაც პირველი იყო, აი, ლარისა ანას ანიშნებს, ბურთი ასე ჩააწოდეო. ლარისაა...

REUTERS სანტო დომინგოდან



REUTERS როჩესტერიდან

ᲒᲝᲚᲤᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

მსოფლიოში სხვა არ არის სპორტი, რომ უფრო ლამაზ ადგილას ითამაშებოდეს, ვიდრე გოლფი. ნიუ იორკის ახლო, როჩესტერის ოუკ ჰილის კლუბში სისხამზე ვარჯიშობს სერჯიო გარსია და ამ ვარჯიშს უამრავი ხალხი ესწრება. მალე დაიწყება „ბიჯიეის“ ჩემპიონატი.

ᲤᲔᲮᲗᲐ ᲠᲘᲒᲡ, ᲤᲔᲮᲗᲐ ᲯᲐᲠᲡ

სანტო დომინგოში, რა თქმა უნდა, მთელი ამბით გრძელდება XIV პანამერიკული თამაშები. კანადის სინქრონულ მოცურავეთა გუნდი ორი პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზეა. სინქრონულ ცურვაში ასეა, გუნდი ფეხებით იცნობა. ჰოდა, ეს კანადის გუნდია.



REUTERS სანტო დომინგოდან

ᲙᲠᲘᲙᲔᲢᲘ ᲙᲚᲐᲞᲢᲝᲜᲘᲗ

რიპლიში, სარის საგრაფოში რომ ძევს, საქველმოქმედო კრიკეტი გამართულა, ერთი გუნდი შეუკრებია განთქმულ მოკრიკეტეს, ალეკ სტიუარტს (მარცხნივ), ხოლო მეორე მუსიკის ვარსკვლავ ერიკ კლაპტონს (მარჯვნივ), ხმაური, სანახაობა და მნიშვნელობა ნამდვილი ყოფილა. კლაპტონის გუნდში როკ და პოპ ვარსკვლავებს უთამაშიათ.

REUTERS რიპლიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲣᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲖᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲘᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულიაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲯᲘᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲯᲘᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ
sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
http://www.sarbieli.com.ge